ინოვატორები თავიანთი საქმიანობას ახორციელებენ ინოვაციური ბიზნეს მოდელის მე-2 და მე-3 ეტაპებზე, სადაც ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფარგლებში შეიძლება შეიქმნას ტექნოლოგიური პარკები, ტექნოპოლისები და ფირმა-ინკუბატორები.

მე-19 საუკუნიდან განვითარებულ ქვეყნების მსხვილ საერთაშორისო კომპანიებში (ტრანსნაციონალური კომპანიების, ფინანსური ინდუსტრიული

ჯგუფები) წარმატებით ორგანიზებულმა ინოვაციურმა აქტივობებმა და მათი შეუზღუდავმა ფინანსურმა და სახელმწიფო მხარდაჭერამ მოახდინა მსოფლიო მასშტაბით მათი მონოპოლიზაცია, რამაც განაპირობა მსოფლიო ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციის პროცესის დაწყება. ამრიგად, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში შეიქმნა ინოვაციების ძლიერი სანარმოო ინფრასტრუქტურა (ბიზნესინკუბატორების, ინოვაციური ცენტრების, ტექნოლოგიური პარკებისა და ტექნოპოლისების სახით), რომელიც აერთიანებდა სამეცნიერო, სახელმწიფო, საჯარო, საგანმანათლებლო, საინვესტიციო ინსტიტუტებს, სადაც სახელმწიფო მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფარგლებში მნიშვნელოვანი ინოვაციური პროექტები ხორციელდებოდა. ამან განაპირობა ინოვაციური ეკონომიკის წინაპირობების ჩამოყალიბება აშშ-ში, იაპონიაში, ევროპისა და აზიის სხვა განვითარებულ ქვეყნებში [2].

**ინოვაციური ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში**

საქართველომ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გამოიარა ომი და რევოლუცია, რამაც მოსახლეობის არა მხოლოდ ფიზიკური განადგურება, არამედ მასზე ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლაც მოახდინა. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად განაპირობა მისი ტექნოლოგიური ჩამორჩენა, გახდა „ტვინების გადინების“ პროცესის საფუძველი.

ამით არის მოტივირებული ინოვაციების სფეროში არსებული შემდეგი პრობლემები:

1. საქართველოში ინოვაციური პროდუქტის სფეროში დასაქმებული კომპანიების (მცირე-6.6%, საშუალო-11.4%, მსხვილი-13%) ხვედრითი წილი უკიდურესად დაბალია. ქვეყანაში კვლევისა და განვითარებით (R&D) დაკავებული ბიზნესის წილი დაახლოებით 6,8%-ს შეადგენს (შესაბამისად, აშშ-ში - 70, საფრანგეთში - 50, იაპონიაში - 78 პროცენტია). სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებითა და დანერგვით დაკავებული ფირმების წილი დაბალია (იხ:ცხრილი №2).

2023 წელს სამრეწველო ფირმების მხოლოდ 6,8% იყო დაკავებული ინოვაციების შექმნითა და ათვისებით, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი ფაქტობრივად არ შეცვლილა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ყველა ინოვაციური პროექტი არ აღწევს საბოლოო შედეგს - ახალ პროდუქტს და ყველა ინოვაცია ვერ პოულობს თავის მომხმარებელს. ხშირია ბიზნესის ინტერესის ნაკლებობა ინოვაციების მიმართ, რომელსაც არ სურს ჩაერთოს სარისკო პროექტებში.

ამავდროულად, ცნობილი მსხვილი კომპანიების 70% არ არის მზად ან არ სურს მათი ინოვაციური საქმიანობის დეტალური შედეგების მიწოდება, თუმცა იმიჯის და სტატუსის გამო ისინი პოზიციონირებენ, როგორც ინოვაციური კორპორაციები. ამკარაა, რომ მსხვილი ბიზნესი ამჟამად არ გრძნობს ინოვაციის საჭიროებას, არამედ ორიენტირებულია ნებისმიერი გზით მოგების ზრდაზე [3].

2. აღჭურვილობის საშუალო ასაკმა 15-20 წელს გადააჭარბა, რაც განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ორჯერ მეტია. საქართველოში ძირითადი

ცხრილი N2

ფირმების წილი, რომლებმაც განახორციელეს ინოვაციები პროდუქციაში (საქონელი/მომსახურება), %

		2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ინოვაციები საქონელში	სულ	13.1%	13.3%	3.2%	3.0%	7.3%	6.4%	6.9%	6.8%
	მათ შორის:								
	მცირე	-	-	-	-	7.1%	6.2%	6.8%	6.6%
	საშუალო	-	-	-	-	11.9%	13.3%	9.9%	11.4%
	მსხვილი	-	-	-	-	14.4%	15.0%	11.9%	13.0%
ინოვაციები მომსახურებაში	სულ	13.9%	14.0%	3.2%	3.2%	7.7%	5.4%	6.0%	6.2%
	მათ შორის:								
	მცირე	-	-	-	-	7.5%	5.1%	5.9%	6.0%
	საშუალო	-	-	-	-	10.7%	11.6%	8.5%	11.4%
	მსხვილი	-	-	-	-	13.7%	16.4%	11.3%	14.4%

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba>



ცხრილი №3. საქართველოს რეიტინგი ქულების მიხედვით

	2022 რეიტინგი	2023 რეიტინგი	ცვლილება
ინსტიტუტები	30	25	+5
ბიზნესის განვითარების დღე	64	58	+6
ადამიანური კაპიტალი და უნარები	70	69	+1
სამართლის გარჩევა	72	77	-5
ცოდნა და ტექნოლოგიები	75	72	+3
ინფრასტრუქტურა	83	80	+3
შესრულებული პროდუქტები	86	81	+5

წყარო: [https://idfi.ge/ge/global\\_innovation\\_index\\_\(gii\)\\_2023\\_results\\_of\\_georgia](https://idfi.ge/ge/global_innovation_index_(gii)_2023_results_of_georgia)

ინდუსტრიების განვითარების დონე 15-20 წლით ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. კომპანიები ძირითადად დაკავებულია ინოვაციების კლონირებით (პერსპექტიული ბიზნესგადაწყვეტილებების კოპირება საზღვარგარეთიდან). კერძოდ, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ განსაზღვრული „საწარმოს უნარი სესხის აღების და ტექნოლოგიების ადაპტაციის“ მაჩვენებლის მიხედვით, 2024 წელს საქართველო კვიპროსის დონეზე იყო და 133-ქვეყნიდან 79-ე ადგილი იკავებდა [2].


ამკარა მსოფლიო ბაზარზე ქართული ინოვაციური ტექნოლოგიების გაუფასურების ტენდენცია და ქვეყნის ორიენტაცია საკუთარი წარმოების ნაცვლად, იმპორტირებული პროდუქციის შექმნაზე, რასაც ადასტურებს 2023 წელს გლობალური ინოვაციების ინდექსში საქართველოს ადგილი. ინოვაციების გლობალური ინდექსის (GII) 2023 წელს საქართველო 65-ე ადგილზეა გადაინაცვლა და ქვეყანამ ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი

ყველაზე დაბალი ქულა მიიღო (29.9). ამავე წელს საქართველოს ქულა გაუმჯობესდა ხუთ კომპონენტში - ბაზრის განვითარების დონე, ადამიანური კაპიტალი და კვლევა, საბაზრო გარემო, ცოდნა და ტექნოლოგიები და შემოქმედებითი პროდუქტები. რეგრესი დაფიქსირდა დანარჩენ 2 კომპონენტში - ინსტიტუტები და ინფრასტრუქტურა. მცირე პროგრესის მიუხედავად, ქვეყანას ჯერ კიდევ დაბალი ქულა (29.9) აქვს ინოვაციების გლობალურ ინდექსში (იხ:ცხრილი №3).

საქართველოს მაჩვენებლებზე დაკვირვების შედეგად ინდექსმა დადებითი ტენდენცია გამოავლინა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტსა და ინოვაციურობას შორის კავშირის თვალსაზრისით (იხ:ცხრილი №4).

საქართველო უსწრებს რეიტინგში მეზობლებს (რუსეთის გარდა), თუმცა საგრძნობლად ჩამორჩება დანარჩენებს. კერძოდ, 2023 წლის შედეგებით, მეზობელი, აღმოსავლეთ პარტნიორობისა

ცხრილი №4. საქართველოს რეიტინგი წლების მიხედვით



წყარო: [https://idfi.ge/ge/global\\_innovation\\_index\\_\(gii\)\\_2023\\_results\\_of\\_georgia](https://idfi.ge/ge/global_innovation_index_(gii)_2023_results_of_georgia)

ცხრილი №5

ქვეყანა	2023 რეიტინგი	2023 ქულა	2022 რეიტინგი	2022 ქულა
ესტონეთი	16	53.4	18	50.2
თურქეთი	39	38.6	37	38.1
ლიტვა	34	42.0	39	37.3
ლატვია	37	39.7	41	36.5
რუმინეთი	51	33.3	47	34.3
მოლდოვა	60	30.3	56	31.1
უკრაინა	55	32.8	57	31.0
საქართველო	65	29.9	73	27.9
ბულგარეთი	80	26.8	77	27.7
სომხეთი	72	28.0	80	26.6
აზერბაიჯანი	89	23.3	93	21.5

წყარო: [https://idfi.ge/ge/global\\_innovation\\_index\\_\(gii\)\\_2023\\_results\\_of\\_georgia](https://idfi.ge/ge/global_innovation_index_(gii)_2023_results_of_georgia)

და ბალტიისპირეთის 11 ქვეყნიდან საქართველო მერვე ადგილზეა და შედეგებით უსწრებს მხოლოდ ბელარუსს, სომხეთსა და აზერბაიჯანს (იხ:ცხრილი №5).

ინდექსმა კონკრეტული ინდიკატორების მეშვეობით გამოყო საქართველოს ძლიერი და სუსტი მხარეები ინოვაციური განვითარების მხრივ. ქვეყანას წამყვანი პოზიცია უკავია საბაზრო გარემოს კატეგორიაში; ინფრასტრუქტურაში ერთადერთი ინდიკატორი, რომელსაც მაღალი ქულა მიენიჭა, არის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა. ბიზნესის განვითარების დონეშიც მხოლოდ ერთი ინდიკატორი, რომელშიც საქართველო საკმაოდ მაღალი შეფასებები 7-დან 3 ინდიკატორში მიიღო - რეგულირების ხარისხი, დასაქმებულთა აყვანისა და გათავისუფლების სიმარტივე და ბიზნესის კეთების პოლიტიკა.

რაც შეეხება ნაკლოვანებებს, მწირია მაღალ რეიტინგიანი უნივერსიტეტების რაოდენობა. ამავე კატეგორიაში ქვეყანას დაბალი შეფასება აქვს გლობალური კორპორატიული R&D ინვესტიორების ინდიკატორშიც. ბიზნესის განვითარების მხრივ საქართველოს სისუსტეა ბიზნესის მიერ დაფინანსებული მთლიანი შიდა დანახარჯი კვლევასა და განვითარებაზე, რაც R&D სფეროში კერძო სექტორის პასიურობაზე შეიძლება, მეტყველებდეს. ქვეყანა რეიტინგულად ჩამორჩება რიგ ფინანსურ ინდიკატორებშიც, რაც ზემოაღნიშნულ სისუსტეებთან ერთად აისახება მაღალტექნოლოგიური წარმოების დაბალ წილზე (იხ:ცხრილი №6).

ინოვაციების გლობალური ინდექსის 2023 წლის

საქართველოს შედეგები აჩვენებს კონკრეტულ სფეროებში ეკონომიკური და ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით არსებულ სტაგნაციას. ინოვაციური შესაძლებლობები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ეკონომიკის განვითარებაში, შესაბამისად აუცილებელია ამ სექტორში არსებულ გამოწვევებისადმი კომპლექსური და ყოვლისმომცველი მიდგომა და ხარვეზების აღმოფხვრა, განსაკუთრებით საყურადღებოა განათლების სფერო. ასევე მნიშვნელოვანია ინოვაციური სტარტაპების დაფინანსების სტრუქტურის ჩამოყალიბება როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე ეგრეთ წოდებული სარისკო კაპიტალის (venture capital) დაინტერესების და მოზიდვის მეშვეობით.

3. ინოვაციური კომპანიების წილი მხოლოდ 6%-ს შეადგენს (ბოლო ადგილი OECD-ის ქვეყნებს შორის) იაპონიასა და გერმანიაში 35%-ია, დანიასა და ფინეთში 55 %. ინოვაციური აქტივობის ასეთი დაბალი დონე დაკავშირებულია ტექნოლოგიური ინოვაციების განხორციელებიდან მიღებულ კომპანიების დაბალ შემოსავალთან დანახარჯების სერიოზული ზრდის ფონზე: ინოვაციური პროდუქტების მოცულობის 34%-იანი ზრდა უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური ინოვაციების ხარჯების სამჯერ გაზრდით. შესაბამისად, 2020-2024 წლებში შემცირდა შიდა საინოვაციო ბიზნესიდან კვლევისა და განვითარებაზე დანახარჯების წილი 26,6-დან 22,1%-მდე [7].

ამ გარემოებებით შეიძლება აიხსნას ვენჩურული ინვესტიორების ქცევას, რომლებიც მცირე და საშუალო ბიზნესისთვის არსებულ აგრესიულ ეკო-





ცხრილი №6

ძლიერი მხარეები		სუსტი მხარეები	
ინდიკატორი	რეიტინგი	ინდიკატორი	რეიტინგი
შრომის პროდუქტიულობის ზრდა %	3	გლობალური კორპორატიული R&D ინვესტორები	40
სატარიფო განაკვეთი	4	უნიქორნების დირებულება %	48
მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა	9	PISA-ს რეიტინგი კითხვის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო უნარებში	70
დასაქმებულთა აყვანისა და გათავისუფლების სიმარტივე	16	QR საუნივერსიტეტო რეიტინგი	71
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები როგორც მშპ-ს წილი %	16	ვენჩურული კაპიტალის ინვესტორები, შეთანხმებების რაოდენობა/ მშპ PPP (\$)	80
ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა	25	შიდა ინდუსტრიის დივერსიფიკაცია	83
ბიზნესის კუთების პოლიტიკა	25	მალალტექნოლოგიური ნარმოება %	88
რეგულირების ხარისხი	29	ბიზნესის მიერ დაფინანსებული მთლიანი შიდა დანახარჯი კვლევისა და განვითარებაზე %	89
უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვები %	30	მთლიანი კაპიტალის ფორმირება %	100
		ISO 14001 (გარემოს მართვის სისტემების საერთაშორისო სტანდარტი)/ მშპ PPP (\$)	104

წყარო: [https://idfi.ge/ge/global\\_innovation\\_index\\_\(gii\)\\_2023\\_results\\_of\\_georgia](https://idfi.ge/ge/global_innovation_index_(gii)_2023_results_of_georgia)

ნომიკურ პირობებში მზად არ არიან უფრო დიდი ინვესტიციები განახორციელონ ქართულ ბიზნეს პროექტებში/სტარტაპებში. საქართველოში არ არსებობს ინოვაციური ბიზნესის მხარდამჭერი ისეთი მნიშვნელოვანი სტრუქტურა, როგორცაა ბიზნესის ანგელოზთა ეროვნული ასოციაცია, რომლის ფუნქცია ინდივიდუალური ვენჩურული ინვესტორი ორგანიზაციებისა და ადრეული სტადიის ვენჩურული ფონდების ინტერესების დაცვა და განვითარებაა, რაც მნიშვნელოვანია საინვესტიციო ბაზრის განვითარებისთვის. ბიზნესის ანგელოზების აღიარებით, საქართველოში არსებობს უნიკალური ბიზნესიდეები, მაგრამ მცირეა სტარტაპერების (ფირმა ინოვატორების) რაოდენობა, ხოლო არსებულებს უნევთ გადარჩენა არასტაბილურ გარე გარემოში, რაც საკუთარი არასტანდარტული პრობლემების გამო ხელს უშლის შემოქმედებითობას, გამოგონებას, კრეატიულობას და იმ სხვა თვისებებს, რომლებიც აუცილებელია ინოვაციებისთვის [5].

4. საინოვაციო საქმიანობის სუბიექტებს შორის

უნდობლობის პრობლემა ასევე მნიშვნელოვანია.

5. კაპიტალის მუდმივი გადინება ასევე უარყოფით როლს თამაშობს ქართული ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში. 2023 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 81,2 მლნ. აშშ დოლარი, 2012 - 56,8 მილიონი, უფრო მეტიც, კაპიტალის გადინებამ შეცვალა მისი შემოდინება წინა წლებში [13, 14]. ეს პროცესი მიუთითებს პოტენციური ინვესტორების უნდობლობაზე სახელმწიფო უწყებების მიმართ, კაპიტალის დაკარგვის შიშსა და მათი განვითარების უკეთეს შესაძლებლობებზე საზღვარგარეთ.

საქართველოში ინოვაციების სფეროში არსებული არასახარბიელო ვითარება აძლიერებს ბიზნეს სექტორის წილის შემცირებას R&D დაფინანსებაში, რაც დიდწილად განპირობებულია დაკრედიტების პრობლემებით. ამავდროულად, დაფინანსებისა და დაკრედიტების უცხოური გამოცდილება არ გულისხმობს ამ სფეროში მხოლოდ სპეციალური კანონების მიღებას. თუმცა მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით არსებული საკანონმდებლო ბაზის (პირველ რიგში ადმინისტრაციული კოდექსის)



ცვლილება, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს სახელმწიფოს, ბიზნესსა და ბანკებს შორის ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება. [5]. საქართველოში ურთიერთობების დამყარება სახელმწიფოს, ბიზნესსა და ბანკებს შორის გაცილებით რთულია ეროვნული სპეციფიკის, კორუფციის ინსტიტუტისა და ინვესტორებისადმი ნაკლები მიზიდულობის გამო. აქედან გამომდინარეობს არსებული ინოვაციური პროექტების მაღალი ფინანსური რისკები და დაბალი საინვესტიციო მიმზიდველობა [7].

ინოვაციების სფეროში გამოვლენილი პრობლემები, ცხადია, მაკროეკონომიკურ სიბრტყეშია. ფაქტია, რომ წარსულში არსებული ადმინისტრაციულ-მმართველობითი გეგმური ეკონომიკის გაუქმების შემდეგ, საქართველოში საბაზრო ეკონომიკამ ვერ შექმნა ის რეალური საფუძველი, რომელიც აუცილებელია ინოვაციური ბიზნესის განვითარებისთვის, კერძოდ:

- სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკაში, რომელიც განისაზღვრება საქართველოს განვითარების ისტორიული ტრადიციებით და ეროვნული მენტალიტეტის სპეციფიკით. სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. მოახდინოს სამეცნიერო, ტექნიკურ და სოციალურ პროგრამების სუბსიდირება და მათ განხორციელებაზე სათანადო კონტროლის ფუნქციების განხორციელება;

— მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ამზადებდა მაღალკვალიფიციურ საინჟინრო და ტექნიკურ მუშაკებს და უზრუნველყოფდა ქვეყნის კეთილდღეობას, პრაქტიკულად განადგურდა და შეიცვალა აშკარად ბოლონის პროცესით, რომლის მიზანია სტუდენტებმა „აილონ“ ქულები და არა რეალური ცოდნა.

— და ბოლოს, პრივატიზაციის შემდეგ შექმნილი სტრატეგიული მსხვილი კომპანიები მხოლოდ საკუთარი შემოსავლის მაქსიმალური გაზრდით არიან დაკავებული, რომლებიც დროთა განმავლობაში მონოპოლისტებად გადაიქცნენ. ეს უცხოურ კაპიტალს აძლევს იმის საშუალებას, რომ ტრანსნაციონალიზაციის პროცესის წყალობით, დაადგინოს თუ რა ბაზრებზე ანარმოს პროდუქტები მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებით, და სად მოახდინოს მათი რეალიზაცია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქართული ინოვაციური ბიზნესის განვითარებისთვის რეკომენდებულია შემდეგი ნაბიჯების

გადადგმა:

1. გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ქვეყნის ინოვაციური განვითარების მკაფიო სტრატეგია, მხარდაჭერილი ინოვაციური საქმიანობის მიმზიდველობის შესაბამისი იდეოლოგიით (ზნეობრივ ღირებულებებზე, მორალსა და პატრიოტიზმზე დაფუძნებული საზოგადოება განწირულია დასაღუპად).

2. ინოვაციური ბიზნესის კეთილდღეობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფარგლებში უნდა შეიქმნას ისეთი ინსტიტუციური გარემო, რომელიც პასუხობს ქვეყნის ინოვაციური განვითარების მოთხოვნებს [8].

3. სახელმწიფომ უფრო აქტიურად უნდა გამოიყენოს ინოვაციების დანერგვის პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდი.

4. დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და აშშ-ს მსგავსად, საქართველოში აუცილებელია შემუშავდეს არა საჯარო-კერძო პარტნიორობის, არამედ სახელმწიფო ადმინისტრირებისა და რეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პრიორიტეტულ სფეროებზე დაფუძნებული ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

4. სახელმწიფომ ასევე უნდა გამოიყენოს საინოვაციო საქმიანობის რეგულირების არაპირდაპირი მეთოდები, კერძოდ საკანონმდებლო ნორმები, საგადასახადო ღონისძიებები, ვენჩურული ინვესტორების (ბიზნეს ანგელოზების) და მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესის) მხარდაჭერა, მთავრობის მხარდაჭერით ჩამოყალიბებული ვენჩურული ფონდების საფუძველზე.

5. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კორპორაციების შექმნას, რომლებიც ავითარებენ უახლეს ტექნოლოგიებს და ინსტიტუციურ ინოვაციურ სტრუქტურებს.

და ბოლოს, ზემოაღნიშნული სტრატეგიული ღონისძიებები შეუძლებელია სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის გარეშე, რაც უზრუნველყოფილია, უპირველეს ყოვლისა, სტაბილური, თანმიმდევრული, რეალურად მოქმედი საკანონმდებლო ბაზის და ბიზნესის ურთიერთთანამშრომლობით.

**საკოლომ დასკვნა**

საქართველოში ინოვაციების სფეროში არსებული არასახარბიელო ვითარება აძლიერებს ბიზნესსექტორის წილის შემცირებას კვლევისა და განვითარების დაფინანსებაში, რაც დიდწილად განპირობებულია დაკრედიტების პრობლემებით.



ამავდროულად, უცხოური გამოცდილება მეტყველებს იმაზე, რომ მნიშვნელოვანია განვითარებულ ქვეყნებში არსებული საკანონმდებლო ბაზის შესაძლებლობათა გაზიარება, რის საფუძველზეც ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა სახელმწიფოს, ბიზნესსა და ბანკებს შორის ურთიერთნდობის საფუძველზე დაფუძნებული სისტემა.

საქართველოში ურთიერთობების დამყარება სახელმწიფოს, ბიზნესსა და ბანკებს შორის გაცილებით რთულია ეროვნული სპეციფიკის, კორუფციის „განვითარებული“ ინსტიტუტის და ინვესტორების ნაკლები დაინტერესების გამო. ფაქტია, რომ არსებული ადმინისტრაციულ-მმართველობითი გეგმური ეკონომიკის გაუქმების შემდეგ, საქართველოში საბაზრო ეკონომიკამ ვერ შექმნა ქვეყნის ინოვაციური განვითარების პირობები. სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს სახელმწიფოს განვითარებაზე ორიენტირებული ქვეყნის სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების

პრიორიტეტული მიმართულებები. მოახდინოს სამეცნიერო, ტექნიკურ და სოციალურ პროგრამების სუბსიდირება და მათი სათანადო კონტროლი. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამეცნიერო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას პრაქტიკულად განადგურდა, პრივატიზაციის შედეგად შექმნილი მსხვილი კომპანიები მხოლოდ საკუთარი შემოსავლის მაქსიმალური ზრდით არიან დაკავებული, რომლებიც მონოპოლისტებად გადაიქცნენ. ეს საშუალებას აძლევს უცხოურ კაპიტალს, ტრანსნაციონალიზაციის პროცესის წყალობით და იმ ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც უკვე მოძველებულია გამოიყენოს ისინი მესამე სამყაროს ქვეყნებში.

ინოვაციური ბიზნესის სფეროში გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტა უნდა გახდეს სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს მის მდგრად და დინამიურ ეკონომიკურ განვითარებას.



## THE ESSENCE, FORMS OF CONCENTRATION AND IT'S CONTROL MECHANISMS

Copyright © 2024 the Author/s  
Peer review method: Double-Blind  
Accepted: February 22, 2025  
Published: March 13, 2025  
Original scientific article  
DOI suffix: 10.36962/NEC20012025-36



**Davit Basiashvili**

Doctor of Economics (PhD),  
Associate Professor  
At Technical University of Georgia  
ORCID-ID - 0009-0005-8129-5764  
E-mail: dbasiashvili@yahoo.com



**Slava Fetelava**

Doctor of Economics (PhD), Lawyer  
Associate Professor  
at Grigol Robakidze University  
ORCID-ID-0009-0000-7120-1844  
E-mail: slava.fetelava@gruni.edu.ge

### ABSTRACT

*The paper deals with the aspects of legal regulation of merger control, within the framework of the European Union, the USA and Georgian legislation and the role of the competition executive bodies in protecting the principles of competition, since the goal of merger control is to maintain a healthy competitive environment in the relevant markets, protect consumers and prevent monopolistic actions or other types of anti-competitive behavior.*

*The study devotes significant attention to the analysis of both generally recognized and defined by Georgian legislation - horizontal and non-horizontal (vertical merger and conglomerate) concentrations, as well as to the analysis of such types of mergers common in world practice as market development mergers; product expansion mergers and homogeneous mergers.*

*However, it is also a fact that economic agents participating in a merger, no matter how well-intentioned they may be, may in some cases have a negative impact on a particular concentration and be/become inappropriate/incompatible with the competitive environment in the relevant market, which is obviously a subject of assessment by the relevant regulatory authorities.*

*Steaming from the above, the paper discusses both the positive and negative aspects of each concentration/merger, concluding that the provisions of the competition law currently in force in Georgia - in the direction of concentration control - are fully consistent with similar norms of advanced international practice countries, primarily the European Union.*

*In addition, its enforcement practice, especially after the legislative amendments implemented in 2020, namely, concentrations in the regulated sectors also got the subject to state control, fully responds to the challenges facing the country in this regard.*





Thus, the current competition law and the established practice of concentration control in Georgia proves that the competitive environment in the relevant markets is maximally protected in the country and the possibility of implementing concentrations incompatible with the competitive environment is excluded (reduced to a minimum).

**Keywords:** concentration, horizontal merger, vertical merger, conglomerate, market expansion merger, product expansion merger, homogeneous merger, positive side, negative side.

**REFERENCES:**

1. EU MERGER CONTROL, A Legal and Economic Analysis, IOANNIS KOKKORIS @ HOWARD SHELANSKI, OXFORD p.1 p.5;  
2. COUNCIL REGULATION (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the control of concentrations between undertakings (the EC Merger Regulation);  
3. Explanatory Dictionary of Competition Terms, Compiled by: Zukakishvili K., Lapachi K., Soviene I., Japaridze L., Second Edition, Tbilisi, 2023, pp. 91-93, (in Georgian Language);  
4. <https://imaa-institute.org/mergers-and-acquisitions-statistics/>

5. Medzvelia Paata. Mechanisms for Controlling Non-Submitted Concentrations to Prevent Gun Jumping: Insights from the Georgian Competition and Consumer Agency. ARTICLES ON COMPETITION AND REGULATION, OECD-GVH Regional Centre for Competition in Budapest (Hungary);  
6. Fetelava Slava, Gogiashvili Shalva, Economic Competition, Tbilisi, "Loi", 2012. pp. 30-31, (in Georgian Language);  
7. Basiashvili Davit, Fetelava Slava. Legal and Practical Aspects of Cartel Detection and Prevention, Journal "New Economist", 2024, No. 2-3, pp. 48-56, (in Georgian Language);  
8. [www.gcca.gov.ge](http://www.gcca.gov.ge)

## კონცენტრაციის არსი, ფორმები და მათი კონტროლის მექანიზმები

### დავით ბასიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი (PhD),  
ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ORCID-ID - 0009-0005-8129-5764  
E-mail: dbasiashvili@yahoo.com

### სლავა ფეტელავა

ეკონომიკის დოქტორი (PhD), იურისტი  
ასოცირებული პროფესორი  
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
ORCID-ID-0009-0000-7120-1844  
E-mail: slava.fetelava@gruni.edu.ge

### აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება სანარმოებს შორის კონცენტრაციების კონტროლის სამართლებრივი რეგულირების ასპექტებს, რომლის ფარგლებში მიმოხილულია - ევროკავშირის, აშშ-ს და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა და წარმოჩენილია ამ კანონმდებლობის აღმასრულებელი ორგანოების როლი და მნიშვნელობა კონკურენციის პრინციპების დაცვის საქმეში, რამეთუ, კონცენტრაციათა კონტროლის მიზანს, შესაბამის ბაზრებზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შენარჩუნება, მომხმარებელთა დაცვა და მონოპოლიური ქმედებისა თუ სხვა სახის ანტიკონკურენტული ქცევის პრევენცია წარმოადგენს.

შესაბამისად, კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი, როგორც საყოველთაოდ აღიარებული და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული - ჰორიზონტალური და არაჰორიზონტალური (ვერტიკალური შერწყმა და კონგლომერატი) კონცენტრაციების, ისე, მსოფლიო პრაქტიკაში გავრცელებულ შერწყმათა ისეთი სახეების ანალიზს, როგორცაა - ბაზრის განვითარების შერწყმა; პროდუქტის გაფართოების შერწყმა და ერთგვაროვანი შერწყმა.

იქვე ხაზგასმულია იმაზე, რომ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაცია, იგივე შერწყმა, რომელიც იწვევს მასში მონაწილე კომპანიების გამსხვილებას, ამ კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას გააფართოონ თავიანთი ეკონომიკური საქმიანობა არსებული ან ახალი მიმართულებით. თავის მხრივ, კონცენტრაციას შესაძლებელია არაერთი მოტივი ჰქონდეს, კერძოდ - მიზნად ისახავდეს ეფექტიანობის ზრდას, საბაზრო ძალაუფლების მოპოვებას, დივერსიფიკაციას, ახალი გეოგრაფიული ბაზრების ათვისებას და სხვა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ შერწყმაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს, რაც არ უნდა კეთილი მიზნები ჰქონდეთ,




შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებში ამა თუ იმ კონცენტრაციას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს და შეუსაბამო/არათავსებადი იყოს/გახდეს შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოსთან, რაც ცხადია შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოების შეფასების საგანს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში ნამსჯელია თითოეული კონცენტრაციის/შერწყმის, როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე, რომლის ბოლოს კეთდება დასკვნა, რომ საქართველოში დღეს მოქმედ კონკურენციის სამართალში ჩადებული დებულებები - კონცენტრაციათა კონტროლის მიმართულებით, სრულ შესაბამისობაშია მონიწივე საერთაშორისო პრაქტიკის ქვეყნების და პირველ რიგში ევროკავშირის ანალოგიურ ნორმებთან.

ამასთან, მისი აღსრულების პრაქტიკა, განსაკუთრებით, 2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, ანუ, მას შემდეგ რაც რეგულირებად სექტორებში განსახორციელებელი/განხორციელებული კონცენტრაციებიც დაექვემდებარნენ სახელმწიფო კონტროლს, სრულად პასუხობს ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს.

ამდენად, საქართველოში, ამ დროისთვის მოქმედი კონკურენციის სამართალი და კონცენტრაციათა კონტროლის დანერგული პრაქტიკა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ მაქსიმალურადაა ქვეყანაში დაცული კონკურენტული გარემო შესაბამის ბაზრებზე და გამორიცხულია (მინიმუმამდეა დასული) კონკურენტულ გარემოსთან არათავსებადი კონცენტრაციების განხორციელების შესაძლებლობა.

**საკვანძო სიტყვები:** კონცენტრაცია, ჰორიზონტალური შერწყმა, ვერტიკალური შერწყმა, კონგლომერატი, ბაზრის გაფართოების შერწყმა, პროდუქტის გაფართოების შერწყმა, ერთგვაროვანი შერწყმა, დადებითი მხარე, უარყოფითი მხარე.



**შესავალი**

„სანარმოებს შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ“ - ევროსაბჭოს 2004 წლის 20 იანვრის No139/2004 რეგულაციის შესაბამისად, კონცენტრაციას და შერწყმას აქვთ ერთნაირი შინაარსობრივი დატვირთვა. კერძოდ, გამოცემაში - EU MERGER CONTROL, A Legal and Economic Analysis, IOANNIS KOKKORIS @ HOWARD SHELANSKI, OXFORD შერწყმა (MERJER) განიხილება, როგორც კონცენტრაციის სინონიმად.<sup>1</sup>

ამდენად, კონცენტრაცია (Concentration), იგივე შერწყმა (Merger) წარმოადგენს ტრანზაქციას, რომლის შედეგადაც ხდება ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტის გაერთიანება კანონმდებლობით დადგენილი სხვადასხვა გზით. ევროკავშირის სამართალში, კონცენტრაციად მიიჩნევა: 1) ორი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმა; 2) ერთი ეკონომიკური აგენტის მეორეზე (სრულად ან ნაწილობრივ) კონტროლის მოპოვება და 3) სრულად ფუნქციონირებადი ერთობლივი საწარმოს შექმნა<sup>2</sup>. გარდა ამისა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით კონცენტრაციას წარმოადგენს

- ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში მონაწილეობა.<sup>3</sup>

სანარმოთა გაერთიანების პროცესი, ამა თუ იმ ფორმით, მუდმივად მიმდინარეობს. შესაბამისად, კონცენტრაციის პროცესში ჩართულ კომპანიათა რაოდენობა ცვალებადია და IMMA-ს (Institute for Mergers, Acquisition & Alliance-შერწყმის, შესყიდვების და გაერთიანებების ინსტიტუტი) მიხედვით ბოლო სამი წლის განმავლობაში ხასიათდებოდა კლების ტენდენციით. კერძოდ, 2021 წელს შერწყმების რაოდენობამ 58 308-დან - 5,2 ტრილიონი აშშ დოლარიდან 2024 წელს 36 067-მდე 2,6 ტრილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა<sup>4</sup>. რაც შეეხება საქართველოს 2021 წლის იანვრიდან 2023 წლის დეკემბრამდე საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებელთა სააგენტომ განიხილა 82 660 ბიზნეს შერწყმა და შესყიდვა. აქედან 64 საქმე ექვემდებარებოდა წინასწარი შეტყობინების ვალდებულებას და შესაბამისად ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას<sup>5</sup>.

ზოგადად, შერწყმა გულისხმობს მასში ჩართული თითოეული დამოუკიდებელი ეკონომიკური

1 EU MERGER CONTROL, A Legal and Economic Analysis, IOANNIS KOKKORIS @ HOWARD SHELANSKI, OXFORD

2 COUNCIL REGULATION (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the control of concentrations between undertakings (the EC Merger Regulation)

3 კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, შემდგენლები: ზუკაიიშვილი ქ., ლაფაჩი ქ., სოვიენე ი., ჯაფარიძე ლ., მეორე გამოცემა, თბ., 2023, გვ. 91-93.

4 <https://imaa-institute.org/mergers-and-acquisitions-statistics/>

5 Paata Medzvelia. Mechanisms for Controlling Non-Submitted Concentrations to Prevent Gun Jumping: Insights from the Georgian Competition and Consumer Agency. ARTICLES ON COMPETITION AND REGULATION, OECD-GVH Regional Centre for Competition in Budapest (Hungary)



აგენტის ხანგრძლივი და სამართლიანი მოლაპარაკების პროცესს, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ამ სუბიექტების საერთო ინტერესებს. შესაბამისად, მისი მიზანი დამოკიდებულია ამ პროცესში ჩართული კომპანიების სტრატეგიულ პრიორიტეტებზე და მოიცავს: ბაზრის გაფართოებას ახალ გეოგრაფიულ არეალზე; სინერჯის შექმნას - რესურსების გაერთიანების, შემოსავლის გაზრდის ან ეფექტურობის გასაუმჯობესებლად; ბაზრის წილის გაზრდას - კონკურენციის შეზღუდვის გზით; ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაციას - პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზების გაფართოებით, რაც ამცირებს დამოკიდებულებას ერთ პროდუქტზე ან სექტორზე; მასშტაბის ეკონომიას - ხარჯების შემცირებას ოპერაციების კონსოლიდაციით, როგორცაა წარმოება ან დისტრიბუცია; ინტელექტუალური საკუთრების - შექმნას; კვლევების და განვითარების გაძლიერებას; ფინანსური სარგებლის მიღებას - შემოსავლების გაზრდილი ნაკადების, უკეთესი ფულადი სახსრების ან ხელსაყრელი საგადასახადო სტრუქტურების მეშვეობით, აქციების გაზრდის ან საფონდო ბირჟებზე უკეთესი პოზიციონირებით.

თავის მხრივ, კომპანიების შერწყმისას, არსებობს რისკი იმისა, რომ წარმოქმნილმა სუბიექტმა დაიკავოს დომინანტური მდგომარეობა ბაზარზე, შეამციროს მომხმარებლის არჩევანი, გაზარდოს ფასები ან ჩაახშოს ინოვაცია. შესაბამისად, ამ პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, თითქმის ყველა მონინავე საერთაშორისო პრაქტიკის ქვეყანაში შემოღებულია შერწყმათა კონტროლის მექანიზმები, რამაც უნდა უზრუნველყოს: 1) მონოპოლიების თავიდან აცილება, 2) კონკურენციის ხელშეწყობა, 3) მომხმარებელთა დაცვა, 4) ბაზრის ეფექტურობის უზრუნველყოფა და 5) თანაბარი კონკურენტული გარემოს შენარჩუნება, რამაც საბოლოო ჯამში სარგებელი უნდა მოუტანოს როგორც მომხმარებლებს, ისე ბიზნესს და ეკონომიკას.

### ძირითადი ტექსტი

ზოგიერთი მცირე ბაზრის მქონე ქვეყანას მიაჩნია, რომ შერწყმაზე კონტროლი არაა აუცილებელი, რადგანაც ეს უკანასკნელი, მათი აზრით, ხელს უშლის ეკონომიკური აგენტების „კრიტიკული მასისკენ“ მისწრაფებას და შესაბამისად მსოფლიო ბაზრებზე არსებული კონკურენტუნარიანობის დონის მიღწევას. თუმცა, არსებობს მეორე მიდგო-

მაც, რომლის თანახმად შერწყმებზე კონტროლი, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში აუცილებლობას წარმოადგენს, ვინაიდან მონოპოლიები ხშირად სამამულო მომხმარებლის ხარჯზე ღებულობენ „მონოპოლიურ რენტას“ ისე, რომ არ ამაღლებენ კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე. გარდა ამისა, კონტროლის არ არსებობის პირობებში მსხვილ უცხოურ კომპანიებს ეძლევათ საშუალება აკრძალვების გარეშე განახორციელონ კანონსაწინააღმდეგო მონოპოლიური საქმიანობა. ამასთან, მიჩნეულია, რომ კონკურენციაზე უარყოფითი ზეგავლენის ალბათობა გაცილებით მეტია მაღალკონცენტრირებულ ბაზრებზე შერწყმის დროს, სადაც წარმოქმნიებიან კომპანიები განსაკუთრებულად დიდი საბაზრო ძალაუფლებით. შესაბამისად, ქვეყნის სპეციფიკისა და კონკურენციის ორგანოებში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით შეწყობის კანონიერების კრიტერიუმები დგინდება დომინანტობის ან კონკურენციის შეზღუდვით დებულებების შესაბამისად<sup>1</sup>. ამასთან, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ კონცენტრაციების კონტროლი ყოველთვის იქნება კონკურენციის სამართლის აღსრულების არსებითი განხილვის საგანი<sup>2</sup>.

რამდენადაც კონცენტრაციის კონტროლის მიზანია სამართლიანი კონკურენციის შენარჩუნება, მომხმარებელთა დაცვა და მონოპოლიური ქმედებისა თუ სხვა სახის ანტიკონკურენტული ქცევის პრევენცია, ის ცხადია, ხორციელდება შესაბამისი ზედამხედველი ორგანოების მიერ. კერძოდ, აშშ-ში ასეთ ზედამხედველ ორგანოს წარმოადგენს ფედერალური ვაჭრობის კომისია (FTC), ხოლო ევროკავშირში - კონკურენციის კომისია. რაც შეეხება საქართველოს, აქ შერწყმათა კონტროლს, არარეგულირებად სექტორში, საფუძველი ჩაეყარა 2021 წლიდან - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისი ქვემდებარე აქტის /„კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი“ (კონკურენციის სააგენტოს 30.09.2014 წლის №30/09-4 ბრძანება, მოგვიანებით ის შეიცვალა 26.10.2020 წლის №39 ბრძანებით)/ მიღებით და მის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო. მოგვიანებით, უკვე 2020 წლიდან, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ, ეკონომიკურ აგენ-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

1 ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., ეკონომიკური კონკურენცია, თბ., „ლო“, 2012. გვ. 30-31  
2 ბასიაშვილი დ., ფეტელავა ს. კარტელის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2024, №2-3, გვ. 48-56;



ტთა კონცენტრაციებზე კონტროლის მექანიზმები გავრცელდა არარეგულირებად სექტორზეც და ამ სფეროებში, მათი აღსრულება დაევაღათ რეგულირებადი სექტორის მარეგულირებელ ორგანოებს - საქართველოს ეროვნულ ბანკს, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას და საქართველოს კომუნიკაციების კომისიას.

აქვე უნდა აღინიშნოს ის რეალობა, რომ საქართველოში კანონმდებლობით განსაზღვრული კონცენტრაციების - 1) ჰორიზონტალური და 2) არაჰორიზონტალური (ვერტიკალური შერწყმა და კონგლომერატი) კონცენტრაციების გარდა, მსოფლიო პრაქტიკაში გვხვდება შერწყმათა ისეთი სახეები, როგორცაა - 3) ბაზრის გაფართოების შერწყმა, 4) პროდუქტის გაფართოების შერწყმა და 5) ერთგვაროვანი შერწყმა. ცხადია, ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაცია, იგივე შერწყმა, რომელიც ინვესტ მასში მონაწილე კომპანიების გამსხვილებას, ამ კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას გააფართოონ თავიანთი ეკონომიკური საქმიანობა არსებული ან ახალი მიმართულებით. თავის მხრივ, კონცენტრაციას შესაძლებელია არაერთი მოტივი ჰქონდეს, კერძოდ - მიზნად ისახავდეს ეფექტიანობის ზრდას, საბაზრო ძალაუფლების მოპოვებას, დივერსიფიკაციას, ახალი გეოგრაფიული ბაზრების ათვისებას და სხვა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ შერწყმაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს, რაც არ უნდა კეთილი მიზნები ჰქონდეთ, შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებში ამა თუ იმ კონცენტრაციას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს და შეუსაბამო/არათავსებადი იყოს/გახდეს შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოსთან, რაც ცხადია შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოების შეფასების საგანს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ შერწყმებს აქვთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ეფექტი. შესაბამისად, ამ სტატიის ფარგლებში შევეცდებით, მოკლედ წარმოვაჩინოთ თითოეული შერწყმის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

**1) ჰორიზონტალური შერწყმა**, წარმოადგენს ერთსა და იმავე სასაქონლო ბაზარზე მოქმედი ერთმანეთის კონკურენტი ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციას, რასაც შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები:

**1.1) დადებითი მხარეები:** ა) საბაზრო წილის ზრდა (შერწყმაში მონაწილე კომპანიათა სამომხმარებლო ბაზრების გაერთიანება, საბაზრო ძალის გაძლიერება), ბ) მასშტაბის ეკონომია (ხარჯების

დაზოგვა, შემცირება ისეთ სფეროებში, როგორცაა წარმოება, შესყიდვები და მარკეტინგი), გ) კლუკურენციის შემცირება (კონკურენტების რაოდენობის შემცირება, რაც ახალ სუბიექტს საშუალებას მისცემს გაზარდოს ფასები და კონტროლი ბაზარზე), დ) ხელმისაწვდომობა ახალ ტექნოლოგიებზე ან გამოცდილებაზე (იმ ტექნოლოგიურ სიახლეებსა თუ სპეციალიზებულ გამოცდილებაზე თანაზიარობა, რაც გააჩნია შერწყმაში მონაწილე მხარეებს), ე) გამარტივებული ოპერაციები (არსებული ოპერაციების გამარტივება და უფრო ეფექტური ბიზნეს მოდელის ფორმირება), ვ) გაზრდილი ვაჭრობის ძალა (მეტი ბერკეტი მომნოდებლებთან და დისტრიბუტორებთან, უკეთეს პირობებსა და ფასებზე მოლაპარაკების საწარმოებლად).

**1.2) უარყოფითი მხარეები:** ა) მონოპოლიის რისკი (თუ გაერთიანებული ერთეული გახდება დომინანტი, მას შეუძლია შეამციროს კონკურენცია, რაც გამოიწვევს მონოპოლიურ ქცევას, როგორცაა ფასების დაფიქსირება ან მომხმარებლის არჩევანის შეზღუდვა), ბ) კულტურული და ინტეგრაციის გამონვევები (ღირებულებების, ოპერაციების ან მართვის სტილების არასწორმა თანხვედრამ შეიძლება გამოიწვიოს შერწყმის არაეფექტურობა), გ) სამუშაოს დაკარგვა (ადმინისტრაციული ხარჯების (დუბლირებული სამუშაო ადგილების) შემცირება), დ) მომხმარებელთა რეაქცია (კონკურენციის შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო მაღალი ფასები ან მომსახურების ხარისხის შემცირება), ე) სინერგიების გადაჭარბებული შეფასება (კომპანიებმა შეიძლება გადაჭარბებულად შეაფასონ შერწყმის სარგებელი ან სინერგია, რაც ინვესტ იმედგაცრუებულ შედეგებს), ვ) სამართლებრივი და მარეგულირებელი საკითხები (შერწყმა შეიძლება წააწყდეს იურიდიულ გამოწვევებს, შეფერხებებს ან თუნდაც უარის თქმას, თუ ჩაითვლება, რომ ის ქმნის უსამართლო დომინირებას ბაზარზე).

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ჰორიზონტალურმა შერწყმამ ერთის მხრივ, შეიძლება უზრუნველყოს წარმოების პროცესის მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობები და ეფექტურობა, თუმცა მხედველობაშია მისაღები და გასათვალისწინებელი ის გარემოებაც, რომ ამ შერწყმას შეიძლება მოჰყვეს გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია კონკურენციასთან და მარეგულირებელის მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან.

**2) არაჰორიზონტალური შერწყმა**, რომელიც სხვადასხვა სასაქონლო ბაზრებზე მოქმედი არაკონკურენტი ეკონომიკური აგენტების გაერთიანებაა, მოიცავს: **2.1) ვერტიკალურ შერწყმას**, ანუ კონცე-





ნტრაციას წარმოებისა და დისტრიბუციის სხვადასხვა საფეხურზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის (როდესაც შერწყმის სუბიექტები მონაწილეობენ ერთ ინდუსტრიაში და არიან მინოდების ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე) და **2.2) კონგლომერატს**, რომელიც წარმოიქმნება ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი საქმიანობის (განსხვავებულ ინდუსტრიათა და ბაზრებზე მოქმედი) მქონე ეკონომიკური აგენტები შერწყმის/კონცენტრაციის ან სხვადასხვა სფეროში ინვესტირების შედეგად.

ცხადია, როგორც სხვა ნებისმიერ შერყმას, ამ სახით შერწყმებსაც აქვთ დადებითი და უარყოფითი მხარეები. კერძოდ:

**2.1.1) ვერტიკალური შერწყმის დადებითი მხარეებს წარმოადგენს:** ა) გაუმჯობესებული მინოდების ჯაჭვის ეფექტურობა (მინოდების ჯაჭვის მეტი კონტროლით, გაერთიანებულ კომპანიას შეუძლია შეამციროს შეფერხებები, გაამარტივოს წარმოება), ბ) ხარჯების შემცირება (ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს კომპანიას უარი თქვას შუამავლებზე და სასაწყობო მეურნეობაზე, რაც იწვევს ნედლეულის ან დისტრიბუციის ხარჯების შემცირებას), გ) უკეთესი კონტროლი წარმოებაზე (წარმოების პროცესზე კონტროლის გაზრდა აუმჯობესებს საოპერაციო მოქნილობას), დ) გაზრდილი კონკურენტული უპირატესობა (კონკურენტების მიერ ბიზნეს მოდელის გამეორების ან მინოდების ჯაჭვის ჩაშლის სირთულე), ე) გაუმჯობესებული კოორდინაცია (წარმოების და დისტრიბუციის უფრო ეფექტურად მორგება, რესურსების განაწილების ოპტიმიზაცია, შეფერხებების შემცირება და მარაგის მენეჯმენტის გაძლიერება), ვ) ახალ ბაზრებზე წვდომა (მომწოდებლებთან ან დისტრიბუტორებთან შერწყმით, ახალ გეოგრაფიულ ბაზრებზე წვდომის გაფართოება).

**2.1.2) ვერტიკალური შერწყმის უარყოფითი მხარეებია:** ა) ინტეგრაციის გამონვევები (წარმოების ან დისტრიბუციის სხვადასხვა ეტაპების მართვამ შეიძლება გამოიწვიოს სირთულე, რადგან კომპანიას სჭირდება სხვადასხვა ოპერაციული ასპექტების დამუშავება, ნედლეულის მოპოვებიდან მომხმარებელთა მინოდებამდე, რაც მოითხოვს დამატებით გამოცდილებას), ბ) შემცირებული მოქნილობა (შეიძლება ჩაიკეტოს საკუთარ მინოდების ჯაჭვში, რაც ართულებს უფრო კონკურენტუნარიან ან ინოვაციურ მომწოდებლებზე ან დისტრიბუტორებზე გადასვლას), გ) უფრო მაღალი საწყისი ხარჯები (მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია გრძელვადიანი ხარჯების დაზოგვა, შერწყმისა და ინტეგრაციის საწყისი ხარჯები (მაგ., რესტ-

რუქტურიზაცია, ტექნოლოგიების ინვესტიციები) შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, როგორც ფინანსურად, ასევე რესურსების თვალსაზრისით), დ) მარეგულირებელი ექსპერტიზა (შეიძლება გახდეს კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი ორგანოს ინტერესის სფერო, თუ შერწყმა აღქმულ იქნება, როგორც კონკურენციის შემაფერხებელი და გამოიწვევს არასამართლიან საბაზრო პრაქტიკას, როგორცაა კონკურენციის შემცირება ან მინოდების ჯაჭვების მონოპოლიზაცია), ე) კულტურული და მართვის კონფლიქტები (მინოდების ჯაჭვის სხვადასხვა ნაწილში კომპანიების შერწყმამ შეიძლება გამოიწვიოს ინტეგრაციის სირთულეები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსხვავებები მართვის კულტურაში, პროცესებში ან სტრატეგიულ მიზნებში), ვ) ზედმეტად დამოკიდებულება შიდა მომწოდებლებზე (შეიძლება ზედმეტად დაეყრდნოს თავის შიდა მომწოდებლებს, რაც ზღუდავს უკეთესი გარე პარტნიორების პოვნის ან ბაზრის ცვლილებებთან ადაპტირების შესაძლებლობას).

როგორც ვხედავთ, ვერტიკალური შერწყმა ერთის მხრივ, გვთავაზობს უფრო მეტ კონტროლს მინოდების ჯაჭვზე და ხარჯების დაზოგვაზე, თუმცა, მეორე მხრივ, მას თან ახლავს ისეთი გამოწვევები, როგორცაა ინტეგრაციის სირთულეები, შემცირებული მოქნილობა და მარეგულირებელი ორგანოების კონტროლის არეალში მოხვედრის რისკი.

**2.2.1) კონგლომერატის დადებითი მხარეებია:** ა) რისკის დივერსიფიკაცია (ვინაიდან კომპანიები მუშაობენ სხვადასხვა ინდუსტრიაში, ერთი სექტორის ვარდნა კომპენსირდება მეორეში წარმატებით, რაც ამცირებს საერთო ბიზნეს რისკს), ბ) გაზრდილი ფინანსური სიძლიერე (გაერთიანებული ფინანსური რესურსები მას საშუალებას აძლევს უფრო ადვილად გაუმკლავდეს ეკონომიკურ გამონვევებს), გ) გაფართოებულ ბაზრებზე წვდომა (ახალ ბაზრებსა და მომხმარებელთა სეგმენტებზე წვდომა იძლევა შემოსავლების მთლიანი ნაკადის გაზრდის შესაძლებლობას), დ) ოპერატიული სინერჯია (გაუმჯობესებული ფინანსური მენეჯმენტი და რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება), ე) ჯვარედინი გაყიდვების შესაძლებლობები (გაყიდვები ახალ ბაზრებზე ორივე კომპანიის ძლიერი მხარეების გამოყენებით), ვ) გაზრდილი ბრენდის აღიარება (სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედი კომპანიების რეპუტაციის ხარჯზე ბრენდის ღირებულების გაზრდა და ხილვადობის გაძლიერება).

**2.2.2) კონგლომერატის უარყოფითი მხარეებს**



**წარმოადგენს:** ა) მართვის სირთულე (სხვადასხვა ინდუსტრიებში მართვა მოითხოვს მენეჯმენტის მნიშვნელოვან გამოცდილებას და ახალ სექტორებთან გაცნობის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს არაეფექტურობა ან ცუდი გადაწყვეტილების მიღება), ბ) შეზღუდული სინერგიები (რადგანაც კომპანიები ფუნქციონირებენ დაუკავშირებელ ინდუსტრიებში, შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ოპერაციული სინერგია, რაც ართულებს ბიზნეს-ფუნქციების ინტეგრაციას და ხარჯების ეფექტურად შემცირებას), გ) გადაჭარბების რისკი (ახალ ინდუსტრიებში შესვლით, კომპანიამ შეიძლება გააგრძელოს ისეთი რესურსები, რაც ართულებს ფოკუსირებისა და ეფექტურობის შენარჩუნებას ბიზნესის ყველა სეგმენტში), დ) კულტურული ინტეგრაციის საკითხები (სხვადასხვა ინდუსტრიებს ხშირად გააჩნიათ სხვადასხვა კორპორატიული კულტურა და გაერთიანებულმა კომპანიებმა შესაძლოა გამოწვევა შეასრულონ თავიანთი ღირებულებების, მენეჯმენტის სტილისა და სამუშაო გარემოში), ე) მარეგულირებელი და ფინანსური სირთულე (იურიდიული და ფინანსური ხასიათის სირთულეები - სხვადასხვა ანგარიშგების მოთხოვნების მართვის თვალსაზრისით), ვ) გაზრდილი ვალის ტვირთი (შერწყმა ხშირად მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიციებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დავალიანების გაზრდა)

**3) ბაზრის გაფართოების შერწყმა** იწოდება ისეთი კონცენტრაცია, რომელიც ხორციელდება იმ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომლებიც ყოფიან ერთსა და იმავე პროდუქტს სხვადასხვა გეოგრაფიულ ბაზრებზე. ეს შეიძლება მოიცავდეს გეოგრაფიული არეალის გაფართოებას, ინდუსტრიის ახალ სეგმენტებში შესვლას ან სხვა მომხმარებელთა სეგმენტის გაფართოებას. არსებობს რამდენიმე გზა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის გაფართოება:

- გეოგრაფიული არეალის გაფართოება, როდესაც ეკონომიკური აგენტები სხვადასხვა რეგიონიდან ერთიანდებიან.
- პროდუქტის/მომხმარებლის გაფართოება, როდესაც ბაზრის გაფართოების შერწყმით, ახალი კომპანია ფართო აუდიტორიას თავაზობს დამატებით პროდუქტებსა და სერვისებს.
- მომხმარებელთა ბაზის ზრდა, რაც საშუალებას მისცემს შერწყმაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს შევიდნენ მომხმარებელთა ახალ ასაკობრივ სეგმენტში, რომლებზეც ადრე შეზღუდული წვდომა ჰქონდათ.
- ოპერაციული სინერგიები, რაც ეხმარება კომპანიებს უფრო ეფექტურად იმუშაონ, შეამცი-

რონ ხარჯები და მეტი დანაზოგი მიმართონ ახალი ბაზრების ათვისებაში.

• გაზრდილი ბაზრის წილი, საშუალებას აძლევს ერთი და იგივე ინდუსტრიის ეკონომიკურ აგენტებს რესურსების გაერთიანებით, მეტი საბაზრო ძალა ჰქონდეთ, რომ კონკურენცია გაუწიონ შესაბამისი ბაზრის უფრო დიდ მოთამაშეებს.

ბაზრის გაფართოებისთვის შერწყმის თვალსაჩინო მაგალითია Instagram-ის შექმნა Facebook-ის მიერ 2012 წელს. Facebook ფოკუსირებული იყო ფართო სოციალურ ქსელზე, ხოლო Instagram იყო ფოტოების გაზიარების პლატფორმა. შერწყმამ Facebook-ს საშუალება მისცა გაფართოებულიყო ბაზრის ახალ სეგმენტში - ფოტოცენტრულ სოციალურ მედიაში - და ამავდროულად მოცილა პოტენციური კონკურენტი. თავის მხრივ, ინსტაგრამმა ისარგებლა Facebook-ის რესურსებით, მათ შორის სარეკლამო შესაძლებლობებით და უფრო დიდი ინფრასტრუქტურით, რაც დაეხმარა მას უფრო გლობალური მასშტაბით განვითარებაში.

**4) პროდუქტის გაფართოების შერწყმა** არის კონცენტრაცია, რომელიც ხორციელდება იმ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომლებიც ყოფიან არაკონკურენტულ, განსხვავებულ, მაგრამ მონათესავე პროდუქტებს იმავე ბაზარზე. ამ შერწყმის მიზანი, როგორც წესი, არის შერწყმული ეკონომიკური აგენტების პროდუქციის ხაზის და მომხმარებელთა ბაზის კონცენტრაცია/გაფართოება. ასეთი შერწყმა კომპანებს საშუალებას აძლევს არსებულ მომხმარებელთა ბაზას შესთავაზონ თავიანთი პროდუქციის უფრო ფართო ასორტიმენტი, გაზარდონ ბაზრის წვდომა და პოტენციური შემოსავალი. შერწყმა იძლევა დამატებითი პროდუქტების ჯვარედინი გაყიდვის ან შეფუთვის საშუალებას. შერწყმის შემდეგ, მათ შეუძლიათ შესთავაზონ პროდუქციის უფრო ფართო ასორტიმენტი, პოტენციურად გაზარდონ გაყიდვები დამატებითი შეთავაზებებით. პროდუქტის გაფართოების შერწყმა ხშირად ტარდება ბაზარზე ყოფნის გასაძლიერებლად, პროდუქტის პორტფელის დივერსიფიკაციისა და პროდუქტის გაფართოების შერწყმის პოზიტიური ბრენდის ბერკეტის გამოყენების მიზნით. მის დადებით და უარყოფით მხარეებს წარმოადგენს:

**4.1) დადებითი მხარეები:** ა) გაფართოებული პროდუქციის ხაზი (გაერთიანების ხარჯზე შეუძლიათ შესთავაზონ დამატებითი პროდუქტების უფრო ფართო ასორტიმენტი, რაც მათ ეხმარება მოიზიდონ მეტი მომხმარებელი და დააკმაყოფილონ მათი საჭიროებები), ბ) ჯვარედინი გაყიდვების შესაძლებლობები (კომპანიებს ეძლევათ შესაძ-



ლებლობა გაყიდონ თავიანთი პროდუქტები ერთმანეთის მომხმარებელთა ბაზაზე, რაც აძლიერებს გაყიდვების შესაძლებლობებს), გ) გაზრდილი ბაზრის წილი (შეიძლება გაიზარდოს კომპანიის წილი, დაკავშირებულ ბაზარზე შეხებით, ანუ ახალი ბაზრის პროდუქციამ ხელი შეუწყოს კომპანიის წილის ზრდას მის პირვანდელ სასაქონლო ბაზარზე), დ) საერთო რესურსები და სინერგიები (გაერთიანებულ კომპანიებს შეუძლიათ ისარგებლონ ოპერაციული სინერგიებით, როგორცაა კომბინირებული მარკეტინგული ძალისხმევა, განაწილების არხები და საერთო R&D, ხარჯების შემცირება და ეფექტურობის გაზრდა), ე) ბრენდის გაძლიერება (ერთი ბრენდის ქვეშ პროდუქციის ფართო არჩევანის შეთავაზებამ შეიძლება გააძლიეროს ბრენდის ბაზარზე ყოფნა და შექმნას უფრო შეკრული იმიჯი).

**4.2) უარყოფითი მხარეები:** ა) ინტეგრაციის გამონვევები (გაერთიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ლოგისტიკური, კულტურული და ოპერაციული სირთულეები), ბ) ბრენდის განზავება (პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებამ შეიძლება შეასუსტოს ბრენდის იდენტურობა, თუ მომხმარებლები ვერ ხედავენ ძლიერ კავშირს ორიგინალსა და ახალ პროდუქტებს შორის), გ) გაზრდილი სირთულე (პროდუქციის ფართო ასორტიმენტს შეიძლება ჰქონდეს გამონვევები უფრო რთული მიწოდების ჯაჭვის, მარკეტინგული სტრატეგიისა და მომხმარებელთა მომსახურების მართვაში), დ) მარეგულირებელის მხრიდან შემოწმება (შერწყმის ზომისა და ჩართული ინდუსტრიების მიხედვით, მარეგულირებელ ორგანოებს შეუძლიათ შეამოწმონ გარიგება, რათა დარწმუნდნენ, რომ ის არ შეამცირებს კონკურენციას ან ზიანს არ აყენებს მომხმარებლებს), ე) ზედმეტად გაფართოების პოტენციალი (თუ კომპანიამ ზედმეტად გააფართოვა თავისი პროდუქციის ხაზი, მან შეიძლება დაკარგოს ფოკუსირება თავის ძირითად, ძლიერ მხარეებზე).

ამდენად, როგორც ვხედავთ, პროდუქტის გაფართოების შერწყმამ, რომელიც ორიენტირებულია დაკავშირებული პროდუქტის დამატებაზე პროდუქციის ხაზის გაფართოებისათვის, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზრდა და სინერგია, თუ კარგად ვმართავთ ამ პროცესს. თუმცა, ის ასევე წარმოადგენს გამონვევებს, რომლებიც საჭიროებს გულდასმით განხილვას.

**5) ერთგვაროვანი შერწყმაა**, როდესაც ხდება ისეთი ბიზნესის გაერთიანება, რომლებიც ემსახურებიან ერთსა და იმავე სამომხმარებლო ბაზას სხვადასხვა გზით. შეიძლება თქვას, რომ ერთგვაროვანი შერწყმა და პროდუქტის გაფა-

რთობის შერწყმა არის დაკავშირებული, მაგრამ განსხვავებული ცნებებია შერწყმისა და შექმნის სფეროში. ერთგვაროვანი შერწყმა ფოკუსირებულია ეკონომიკური აგენტების ისეთ გაერთიანებაზე, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ ინდუსტრიასთან, თუმცა, ბაზარს სთავაზობენ სხვადასხვა ტიპის პროდუქტს. ერთგვაროვანი შერწყმა ხდება მაშინ, როდესაც ერთი და იგივე ინდუსტრიის ან სექტორის ისეთი ეკონომიკური აგენტებია გაერთიანებული, რომლებიც არ აწარმოებენ მსგავს საქონელს. კომპანიები ჩვეულებრივ იზიარებენ დაკავშირებულ ან დამატებით ბაზრებს, სადისტრიბუციო არხებს ან ტექნოლოგიებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია - თხილამურების მწარმოებელი კომპანიისა და თხილამურების ფეხსაცმლის ან სათხილამურო კომბინიზონების მწარმოებელი კომპანიების შერწყმა. სხვა სიტყვებით, ერთგვაროვანი შერწყმის მიზანია, დამატებითი სერვისების ან ბაზრის სეგმენტების გამოყენება, მაშინ, როდესაც პროდუქტის გაფართოების შერწყმა ემსახურება არსებული მომხმარებლებისთვის პროდუქტის შეთავაზების გაფართოებას. თანმიმდევრული შერწყმა (ასევე ცნობილია როგორც პროდუქტის გაფართოების შერწყმა) მოიცავს კომპანიებს, რომლებიც მუშაობენ დაკავშირებულ ინდუსტრიებში ან აქვთ მსგავსი პროდუქტები ან მომსახურება, მაგრამ არ არიან პირდაპირი კონკურენტები. ამ კომპანიებს, როგორც წესი, აქვთ გარკვეული ოპერაციული სინერგია ან მომხმარებელთა გადაფარვა, რაც გაერთიანებას მიმზიდველს ხდის. ამ ტიპის შერწყმის დადებითი და უარყოფითი მხარეებს წარმოადგენს:

The flipped classroom is a modern, transformative learning strategy that integrates blended learning with digital or physical learning resources outside of the traditional classroom. Students receive pre-recorded lessons as preparatory assignments, shifting the focus from teacher-led learning to self-directed learning. Classroom activities focus on collaborative problem solving by having students work in small groups to analyze cases, encouraging a team approach and improving long-term knowledge retention. This method also encourages peer interaction and allows students to fill knowledge gaps while assessing individual differences and learning style strengths. Assigned tasks. Research shows that this approach outperforms traditional classrooms when it comes to increasing student awareness, critical thinking, learning outcomes, and motivation. Thanks to multimedia tools, students benefit from unlimited access to educational content, thus promoting interactive and independent learning. This model allows students to evaluate their progress, identify areas for improvement, and use constructive feedback from peers and instructors to ensure continuous improvement in their learning processes.

Modern teaching strategies such as problem-based learning (PBL), simulation-based education, flipped classrooms, and inter-professional education have gained prominence. These approaches prioritize active engagement, critical thinking, and the application of theoretical knowledge in practical settings. Additionally, technological advancements, including virtual reality (VR), augmented reality (AR), and online learning platforms, have expanded the possibilities for immersive and flexible learning experiences.

The most common teaching-learning activities and their definitions are presented. The teacher will select the necessary activity from them, depending on the specific goal and task.

We discussed the following methods of learning and teaching:

Discussion/debate is one of the most common methods of interactive learning activity. The discussion process dramatically increases the quality of student engagement and activity. The discussion can turn into an argument, and this process is not limited to questions asked by the teacher. It develops the student's ability to reason and justify his own opinion.

Cooperative teaching is a teaching strategy when each member of the group is obliged not only to study by himself, but also to help his teammate to study the subject better. Each member of the group works on the problem until all of them have mastered the issue.

Collaborative work – teaching method using this activity involves dividing students into groups and giving them learning tasks. Group members work on the issue individually and simultaneously share their opinions with the rest of the group. It depending on the task. It is possible to redistribute functions among the members during the work of the group. This strategy ensures maximum involvement of all students in the learning process.

Problem-based learning (PBL) - an activity that uses a specific problem as the initial stage of the process of acquiring and integrating new knowledge.

Case study – the teacher will discuss specific cases with the students and they will study the issue in every way and thoroughly.

Brain storming – this activity involves thinking about a specific issue/problem as much as possible within the topic, preferably.

Radically different, the promotion of thought, idea formation and expression. This activity leads to the development of a creative approach to the problem. Its use is effective in the presence of a large group of students and consists of several main stages: Defining the problem/issue from a creative point of view. To write down the ideas expressed by the listeners around the issue in a certain period of time without criticism (mainly on the blackboard). Determination of evaluation criteria to determine the relevance of the idea to the purpose of the research. Evaluation of selected ideas with predetermined criteria. To highlight those ideas that are most relevant to the question by exclusion. Revealing the idea with the highest evaluation as the best means of solving the set problem [25].

Role-playing and situational games – games based on pre-designed scenarios allow students to look at the issue from different perspectives. It helps them to form an alternative point of view. Like discussion, these games also develop the student's ability to express his position independently and defend it in an argument.

Demonstration – this method of activity involves visual presentation of information. It is quite effective in terms of achieving results. In many cases, it is better to present the material to students both audio and visual at the same time. The material to be studied can be demonstrated by both the teacher and the student. This





method helps us to make visible the different stages of understanding the learning material, specify what the students will have to do independently. At the same time, this strategy visualizes the essence of the issue/problem. Demonstration may take a simple form [26].

Inductive defines a form of transfer of any knowledge, when the course of thought in the learning process is directed from facts to generalization, that is, when conveying material, the process proceeds from concrete to general.

Deductive defines a form of transfer of any knowledge, which is a logical process of discovering new knowledge based on general knowledge, that is, the process proceeds from the general to the specific.

Analysis helps us understand the learning material as a whole. In decomposition into constituent parts. This facilitates detailed coverage of individual issues within a complex problem.

Synthesis means making a whole by grouping separate issues. This method helps to develop the ability to see the problem as a whole.

Verbal or oral method - this method includes lecture, narration, conversation, etc. In the mentioned process, the teacher conveys and explains the learning material through words, and the students actively perceive and assimilate it by listening, memorizing and understanding.

Writing work method - which includes the following types of actions: making extracts and notes, summarizing material, drawing up theses, writing a report or essay, etc.

Explanatory method- based on reasoning around the given issue. When delivering the material, the teacher cites a specific example of which

Action-oriented teaching - requires the active involvement of the teacher and the student in the teaching process, where the practical interpretation of the theoretical material acquires special importance.

The results highlight the necessity of embracing globally oriented teaching strategies to enhance higher education's effectiveness and sustainability. The incorporation of modern pedagogical paradigms, including active learning, flipped classrooms, and problem-based learning, has proven instrumental in fostering critical thinking, creativity, and adaptability among students. The study also underscores the pivotal

role of technology, such as artificial intelligence, virtual learning environments, and digital assessment tools, in transforming traditional teaching methodologies into dynamic, student-centered approaches [27].

Despite these advancements, several challenges remain in implementing globally informed teaching excellence frameworks. Institutional resistance to change, lack of faculty training, and disparities in digital access pose significant barriers to widespread adoption. Additionally, the contextual differences among higher education systems necessitate adaptable and culturally responsive pedagogical strategies that balance global best practices with local educational needs.

Moving forward, it is imperative for institutions, educators, and policymakers to engage in continuous professional development, invest in digital infrastructure, and foster international collaboration to ensure sustainable progress in higher education. The findings of this study contribute to the ongoing discourse on teaching excellence by offering insights into the transformative impact of global perspectives on higher education, emphasizing the need for innovation, inclusivity, and adaptability in contemporary pedagogical frameworks.

### CONCLUSIONS

The manifestation of global perspectives in teaching excellence frameworks and contemporary pedagogical paradigms plays a crucial role in shaping the future of higher education worldwide. As institutions continue to embrace innovative teaching strategies, the integration of cross-cultural insights and evidence-based methodologies enhances both instructional quality and student engagement. This study underscores the transformative impact of modern pedagogical approaches in fostering academic excellence, institutional development, and global knowledge dissemination. By aligning educational practices with evolving global demands, higher education institutions can ensure long-term sustainability and relevance in an increasingly interconnected world. Moving forward, continued research and collaboration among educators, policymakers, and institutions will be essential in refining teaching frameworks, addressing emerging challenges, and maximizing the benefits of globalized education.

**Acknowledgment-Declarations:** The author has declared that there are no conflicts of interest.



# TYPES OF ALUMINUM-CONTAINING MINERAL RAW MATERIALS AS AN ALTERNATIVE RESOURCE BASE FOR ALUMINUM PRODUCTION IN GEORGIA

Copyright © 2024 the Author/s  
Peer review method: Double-Blind  
Accepted: March 02, 2025  
Published: March 16, 2025  
Original scientific article  
DOI suffix: 10.36962/NEC20012025-94

## Shalva Malashkhia

Doctor of Engineering Sciences, Head of the Biotechnological Scientific-Research Department at the Caucasus Institute of Mineral Resources named after Alexander Tvalchrelidze, TSU; Chief Researcher  
ORCID: YD-0009-0008-5493-5422  
Email: shalvamalashkhia@mail.ru



THE NEW ECONOMIST / სხვალი ეკონომისტი

### ABSTRACT

*The full-scale functioning of a country's economy significantly depends on the comprehensive utilization of its existing mineral resources and their integration into economically beneficial activities. One such resource is aluminum-containing raw material, which can be considered a strategic asset.*

*Currently, the extraction and use of these resources are minimal within the country, with demand largely met through imported products.*

*An analysis of the country's mineral resource potential reveals that Georgia possesses various types of aluminum-bearing mineral raw materials, which, collectively, could serve as a solid base for aluminum production.*

*The paper discusses the geological and technological characteristics of the aluminous silicate resource base. It highlights the need for specific geological and technological research and expresses the view that organizing aluminum production in the country is a feasible prospect.*

**Keywords:** Aluminium , alternative, Alunit, resurses, roduction.

### REFERENCES:

1. Kipshidze L (1933) Geogian Minerals raw materials,77-82 (in Russian)
2. Garbunov S (1933) Georgian Mineral raw materials, 379-387 (in Russian)
3. Kartvelisvili L, Kakulia J, Malashkhia Sh, Lomidze N (2018) Possibilities of obtaining aluminium concentrate from Tkibuli cattle grazing waste using a biotechnological method. Mining Journal (2)41 83-85 (in Georgian)



# ალუმინის შემცველი მინერალური ნედლეულის სახეობები, როგორც ალტერნატიული სანედლეულო ბაზა ალუმინის წარმოებისთვის საქართველოში

შალვა მალაშხია

ტექნიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ალექსანდრე  
თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის  
კავკასიის ინსტიტუტის ბიოტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი  
განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი  
ORCID-YD-0009-0008-5493-5422  
ელ.ფოსტა: shalvamalashkhia@mail.ru

## აბსტრაქტი

ქვეყნის ეკონომიკის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის დიდი როლი ენიჭება არსებული მინერალური რესურსების სრულყოფილ ათვისებას და ჩართვას ქვეყნისათვის სასარგებლო ფუნქციონირებაში. ასეთს განეკუთვნება ალუმინის შემცველი ნედლეული, რომელიც შეიძლება განხილული იქნას, როგორც სტრატეგიული პოზიცია. მათი მოპოვება და გამოყენება ქვეყანაში თითქმის არ ხდება და მოთხოვნების დაკმაყოფილება ხდება იმპორტისებური პროდუქტის მეშვეობით. ქვეყნის მინერალური რესურსების პოტენციალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში არსებობს ალუმინის შემცველი სხვადასხვა მინერალური ნედლეულის სახეობა, რომელმაც ჯამურად შეიძლება უზრუნველყოს ალუმინის მიღების სანედლეულო ბაზა. განხილულია ალუმოსილიკატების რესურსული ბაზის გეოლოგიური და ტექნოლოგიური მახასიათებლების შეფასებები. ნამონეულია საკითხი გარკვეული გეოლოგიური და ტექნოლოგიური კვლევების აუცილებლობის შესახებ, გამოთქმულია მოსაზრება ალუმინის წარმოების ორგანიზების შესაძლებლობის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** ალუმინი, ბოქსიტები, ლატერიტები, ალუმოსილიკატები, საბადოები.

## შესავალი

ალუმინი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ელემენტია დედამიწის ქერქში. მისი შემცველობა, ბოლო მონაცემებით, 7,45-8,14%-ის ფარგლებშია. მისი აქტიური ხასიათის გამო ის ბუნებაში თავისუფალი სახით არ მოიპოვება და გვხვდება ისეთი ნაერთების სახით, როგორცაა ბოქსიტები, ნეფელინები, ლატერიტები, ალუნიტები, კაოლინიტები და სხვა.

ალუმინის სანარმოო მასშტაბით მიღებისათვის ძირითად ნედლეულს დღემდე წარმოადგენს ბოქსიტები, რომელშიც ალუმინის შემცველობა მაღალია. ალუმინის მრეწველობის ინტენსიფიკაციამ მსოფლიოსი გამოიწვია მაღალხარისხიანი ბოქსიტების რესურსების მნიშვნელოვანი შემცირება, რაც აქტუალურს ხდის ალტერნატიული მინერალური ნედლეულის მოძიებას და გადაამუშავების ტექნოლოგიების შემუშავებას.

## ძირითადი ტექსტი

საქართველოში ბოქსიტების საბადოები გამოვლენილი არ არის, თუმცა დაფიქსირებულია მონაცემები მათი შესაძლო არსებობისა გარკვეული მოცულო-

ბის გამოვლინებათა სახით. ბოქსიტი წარმოადგენს კრიპსო-კრისტალურ თიხისებრ ან ფიქლოვან აგრეგატებს, რომლებიც შედგებიან გიდროარგელიტის ქერცლებისაგან, რომლებშიც ჩვეულებრივ შერეულია კაჟმინა, რკინის უანგი, პირიტი, პროლინატი, კაოლინი და სხვ. [1]. მისი საშუალო ქიმიური შემადგენლობა შემდეგია:  $Al_2O_3$  - 50-70%,  $Fe_2O_3$  - 3-25%,  $H_2O$  - 12-40%,  $SiO_2$  - 3-30% და მცირედი  $TiO_2$ . გასული საუკუნის 30-იან წლებში გეოლოგიურ-საძიებო პარტიამ ჩაატარა კვლევები ბოქსიტების საბადოების მოსაძიებლად საქართველოში, კერძოდ ახალციხის რაიონში [1]. აღნიშნული პარტიის ანგარიშის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ რაიონში შესაძლებელია დაფიქსირდეს ბოქსიტების საბადო. პარტიის მიერ მრავალ ადგილას დაფიქსირდა ცალკეული ბელტები და ჩანართები, რომელიც თავისი მონაცემებით შეესაბამება ბოქსიტებს. აღნიშნული პარტიის მიერ მოგროვილი მასალები ფოსტით გაგზავნილი იქნა თბილისში, რომელიც დანიშნულების ადგილას არ ჩასულა და დაიკარგა. ამის შემდეგ, რატომღაც, კვლევები არ გაგრძელბულა და საბადოს დაფიქსირების საკითხი ღიად დარჩა.



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოქსიტების საბადოები დაფიქსირებული არ არის, არსებობენ ისეთი სახეობის სახეები, რომლებიც ხასიათდებიან ალუმინის მნიშვნელოვანი შემცველობით და შეიძლება მიჩნეულ იქნას თიხამინის წარმოებისათვის სერიოზული სახეობის სახეობად. ასეთებია ლატერიტები, კაოლინური თიხები, ტრაქიტები, ალუნიტები და ალუნიტიზირებული ქანები ქვანახშირის და ენერგეტიკული მრეწველობის წარჩენები.

ლატერიტი წარმოადგენს ალუმინის და რკინის წყლიან ნაერთს კაჟმინასთან ან თავისუფალ კვარცთან. წარმოიქმნებიან ისინი ტროპიკულ ნესტიან გარემოში, მაგალითად, შემდეგი ტოლობით  $K_2O \cdot Fe_2O_3 \cdot 6SiO_2 + 3H_2O + CO_2 = 2Al(OH)_3 + K_2CO_3 + 6SiO_2$ , ე.ი. თანმხლებია ტუტეების და კაჟმინის გამოყოფა [1] წყლიანი ჟანგეულების დაგროვებით. ტიპური ლატერიტები მდიდარი არიან რკინის ჟანგების ჰიტრატების კონკრეციებით. ქიმიური შემადგენლობით ლატერიტები გამოირჩევიან იმით, რომ არიან გამდიდრებული ერთნახევრიანი ჟანგეულებით კაჟმინის მცირე შემცველობით. ამასთან თიხამინა წარმოადგენილია თავისუფალი ჰიდრატებით, მაგ., ჰიდროარგელიტებით.

ლატერიტული ქანები გავრცელებულია გურიის და აჭარის ტერიტორიაზე. დადგენილია ბათუმის სანაპიროს გასწვრივ გონიოსა და ნატანებს შორის, ოზურგეთში მის ცენტრალურ ნაწილში და ნიგოთის ქედის ფარგლებში. დაფიქსირებულია ლატერიტიზებული ქანები ასევე ზუგდიდის და სენაკის რაიონში მდ. ენგურის და ტეხურის შორის ფართო ზოლების სახით, დაახლოებით 400 კვ.კმ-ის ფართობზე. ამათ შორის დეტალურად იქნა შესწავლილი აჭარის (ბათუმის) ლატერიტები. როგორც არსებული წყაროები მიუთითებენ აჭარის და გურიის სანაპირო ზოლის გასწვრივ დაფიქსირებულია ორი მკვეთრი ზოლი. მას ეკვრის მეორე უფრო შემალელებული რელიეფის ზოლი. ნორმალური ლატერიტული შრის სისქე მერყეობს 2-დან 20 მ-მდე [1]. გარდა აღნიშნული დელუვიური ლატერიტის მაგვარი მასებისა, სანაპიროს ზოლში აღინიშნება ძირითადი ქანების გამოფიტვის ზონები, რომლის შედეგად წარმოიქმნება მახასიათებელი სფეროსებრი წარმონაქმნები.

ინჟინერ-გეოლოგი ე.ბაგრატიანი, რომელიც იკვლევდა ლატერიტებს მწვანე კონცხიდან მდ. ჭოროხამდე 250-300 კვ.კმ ტერიტორიაზე, დაადგინა, რომ პორფირული სტრუქტურის ქანები არ ხასიათდებიან ლატერიზაციით, მათი ქიმიური შემადგენლობა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით: თიხამინის მაქსიმალური შემცველობა - 37,1%; კაჟმინა - 48,5%; რკინის ჟანგი - 21,7%; თიხამინის მინიმალური შემცველობა - 18,65%; კაჟმინა -

33,14%; რკინის ჟანგი - 4,29%. ამასთან მკვლევარი მიუთითებს თავისუფალი კაჟმინის მოცილების შესაძლებლობაზე, რაც შესაძლებლობას ხდის ლატერიტიზაციის ზონებში ალუმინის ორჟანგის წილის გაზრდისა.

რაც შეეხება ლატერიტების მარაგების საკითხს, მრავალრიცხოვან მკვლევარს აქვს საკმაო მყარი გათვლები აღნიშნულ ზოლში და ადგენენ, რომ თიხამინის 28%-ზე არანაკლები შემცველობის მარაგები შეადგენენ: მდ. ჩაქვის მარცხენა სანაპიროზე - 144 მილ. ტონას, მარჯვენა სანაპიროზე - 368 მლნ. ტ, ქობულეთის-ოზურგეთის რაიონში - 460 მლნ. ტონა, სულ - 972 მლნ. ტონას.

თიხამინის წარმოებისათვის მნიშვნელოვან ნედლეულად შეიძლება ჩაითვალოს ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ქვანახშირის დასტაში შემავალი ლიპტობიოლოგიური ნახშირები და თიხაფიქლოვანი ჩანარები. ასევე თბოელექტროსადგურების წარჩენი ნამწვი (ნაცარი). მისი შემადგენლობაში ალუმინის ჟანგის შემცველობა 30-32%-ია.

ალუმოსილიკატების სიჭარბითა გამოირჩევა ასევე ასკანის ბენტონიტური თიხები და მისი შემცველი მხურავი ქანები, როგორცაა ტრაქიტები, რომლის ნაწილი ამოღებულია და დასაწყობებულია, ნაწილი ნიაღშია და მარაგები 6,0 მლნ. ტონას აღწევს. გარდა ამისა გურიის რეგიონში გამოვლენილია სხვა საბადოები, რომელთა გათვალისწინებით ტრაქიტების პროგნოზული რესურსები 10 მლნ. ტონას აღწევს.

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ამ მიმართულებით ცეოლიტების ისეთი სახეობა, როგორც კალიუმის შემცველი ფილიფსიტები. ასეთია ლანჩხუთის რაიონში შუხეთის ფილიფსინშემცველი ტუფების საბადო, რომლის მარაგები 80 მლნ. აღწევს

აღნიშნულ ტუფებში  $Al_2O_3$ -ის შემცველობა 18-20%-ს აღწევს.

შემოაღნიშნული ფაქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველო საკმაოდ მდიდარია ისეთი მინერალური ნედლეულის მარაგებით, რომლებიც შეიცავენ ალუმინის წარმოებისათვის აუცილებელ სახეობებს, რაც შეიძლება გახდეს საფუძველი საქართველოში ალუმინის წარმოების ჩამოყალიბებისათვის. ამ მიზნით აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდეს ბიოქსიტების საბადოების გამოვლინების მიზნით გეოლოგიური კვლევა-ძიება;
2. დამუშავებულ იქნას თითოეული სახეობის სახეობიდან თიხამინის მიღების შესაძლო ტექნოლოგიური სქემები;
3. ჩამოყალიბებულ იქნას ალუმინის წარმოების შესაძლებლობის კონცეფცია.





## ვლადიმერ (ლადო) პაპავა - 70



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა 70 წლის გახდა. ის დაიბადა 1955 წლის 25 მარტს ქ. თბილისში.

ბატონმა ვლადიმერ პაპავამ 1977 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი, 1982 წელს - სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურა და იმავე წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1989 წლიდან არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, 1995 წლიდან - პროფესორი, 1997 წლიდან - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 2013 წლიდან კი - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონი ვლადიმერ პაპავა 1990-1996 წლებში გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 1991-1996 წლებში - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი. 1994-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე, 2000-2001 წლებში - საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილედ, ხოლო 2004-2008 წლებში იყო საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები“. 2013-2016 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე. 2016 წლიდან დღემდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. 2023 წლიდან დღემდე ის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანია.

ვლადიმერ პაპავა 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთაგან 40-მდე მონოგრაფია, სახელმძღვანელო და წიგნია. ვლადიმერ პაპავას ნაშრომები ქართულ, ინგლისურ, რუსულ,

ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, ჩინურ, არაბულ, ჩეხურ, უკრაინულ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოქვეყნებული საქართველოში, აშშ-ში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში, უკრაინაში, ნიდერლანდებში, იტალიაში, საბერძნეთში, პოლონეთში, ჩინეთში, ავსტრალიაში, სამხრეთ კორეასა და სხვ.

აკად. ვლადიმერ პაპავას სამეცნიერო კვლევის შედეგები მრავალფეროვანია. მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო მიღწევად უნდა ჩაითვალოს იმის დასაბუთება, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების დამოუკიდებელი ფაქტორი, ხოლო ირიბი გადასახადები მისი შესაბამისი ფაქტორული შემოსავალია. ყველაზე მეტი საერთაშორისო აღიარება კი აკად. ვლადიმერ პაპავას მის მიერ შექმნილმა „ნეკროეკონომიკის“ თეორიამ მოუტანა. ეს თეორია პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიის საფუძველს ქმნის. ნეკროეკონომიკა, თავისი არსით, აბსოლუტურად მოძველებულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული „მკვდარი“ სანარმოებია და მიუხედავად იმისა, რომ მათ პროდუქციაზე მოთხოვნა არ არსებობს, მაინც სახელმწიფოს დახმარებით აგრძელებენ ფუნქციონირებას.

აკად. ლადო პაპავამ შეიმუშავა „გადასახადების გარეშე ფუნქციონირებადი ეკონომიკის“ მოდელი. ამ და ლაფერის ეფექტის ამსახველი ახალი მრუდების აგებისათვის ქართველ ეკონომისტთა ჯგუფთან ერთად 2004 წელს ნაშრომთა ციკლისათვის „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“ მას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

აკად. ვლადიმერ პაპავა საქართველოში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, შვედეთში, პოლონეთში, უკრაინასა და სინგაპურში გამომავალი სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოს წევრია. ის არის საქართველოსა და უცხოეთის რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიების, ასოციაციებისა და სამეცნიერო საზოგადოებების წევრი.

2014 წელს ბატონ ლადოსთან ინტერვიუ გამოქვეყნდა ჩვენს ჟურნალში, რომელიც განთავსებულია ჩვენი ჟურნალის ვებგვერდზე. ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით ვულოცავთ ბატონ ლადოს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კვლავაც მრავალწარმატებას სამეცნიერო, საზოგადოებრივ და პირად საქმიანობაში, მისი საყვარელი სამშობლოს აღმშენებლობაში.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით,  
ჟურნალ „The New Economist“  
(ახალი ეკონომისტის)  
მთავარი რედაქტორი  
ლოიდ ქარჩავა



## რევაზ ლორთქიფანიძე - 60



THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, უნივერსიტეტ გეომედის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები“ - აღმასრულებელი რედაქტორი, ბატონი რევაზ ლორთქიფანიძე, იუბილარია. მას, დაბადებიდან, 60 წელი შეუსრულდა.

ბატონი რევაზი დაიბადა 1965 წლის 7 იანვარს, ქ. ბათუმში. 1986 წელს წარჩინებით დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი, 1989 წელს - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1989 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 1999 წელს - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ნოსტრიფიკაცია მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2005 წელს), სპეციალიზაციები: ეკონომიკის; მსოფლიო მეურნეობა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები). 1998 წელს გახდა ნიუ-იორკის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პირველი წევრი პოსტ საბჭოთა სივრციდან, 2013 წლიდან არჩეულია საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ეკონომიკისა და სამართლის საკითხების მისი კვლევის ინტერესის სფეროებს წარმოადგენს ფიზიკა ეკონომიკაში, ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკონომიკური კონკურენცია, თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ჯანდაცვის ეკონომიკური რეფორმები, მრეწველობა, მსოფლიო სავალუტო სისტემა და ფულადი მიმოქცევა, აშშ-სა და საქართველოს ეკონომიკა.

1991 წელს რევაზ ლორთქიფანიძემ გაიმარჯვა პირველ დემოკრატიულ არჩევნებში ქ. ბათუმში, აირჩიეს საკრებულოს წევრად, როგორც უპარტიო. 1993-1998 წლებში იყო აჭარის ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს კოლეგიის წევრი, 2001 წლიდან 2009 წლამდე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში მუშაობს, მათ შორის ეკონომიკური რეფორმების სამმართველოს უფროსის მოადგილედ და სახელმწიფო ქონების აღრიცხვის სამმართველოს უფროსად. 2006 წელს გაიმარჯვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნომინაციაში „სამინისტროს ყველაზე ინტელექტუალური“,

ბატონი რევაზ ლორთქიფანიძე „1200-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია ეკონომიკის ზოგად თეორიასა და მენეჯმენტში, მათ შორის 30 წიგნის სახით (სახელმძღვანელო და სალექციო კურსია). ეკონომიკური კონკურენციის კლასიკოსების გარკვეული ხარვეზების შესწორებით, არის კონკურენციის ძალის განსაზღვრის ფორმულირების ავტორი, განავითარა ეკონომიკის სტრუქტურის ეფექტიანობის ფორმულირება ევროკომისიის ექსპერტთა მეთოდოლოგიის სრულყოფის საფუძველზე. კონკურენტთა უსასრულო რაოდენობრიობის პრიორიტეტის ნაცვლად, ინოვაციურად დაინახა "ატომური ბალანსის" ხარისხობრივად ახალი მიდგომის საჭიროება, რაც აღინიშნა გლობალურ ენციკლოპედია ვიკიპედიაში. მისი შრომები განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა "ივერიელში". არის ქაშვეთის ტაძრის სტიქაროსანი.“ - ვკითხულობთ მის ბიოგრაფიულ მონაცემებში.

ბატონი რევაზ ლორთქიფანიძე ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრია 2014 წლიდან. მას მრავალი საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული ჩვენს ჟურნალში და ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობს. ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით ვულოცავთ ბატონ რევაზს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კვლავაც მრავალ წარმატებას სამეცნიერო-პედაგოგიურ, საზოგადოებრივ და პირად საქმიანობაში.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით,  
ჟურნალ „The New Economist“  
(ახალი ეკონომისტის)  
მთავარი რედაქტორი  
ლოიდ ქარჩავა



## სლავა ფეტელავა - 60



ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, ეკონომიკის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დეპარტამენტის უფროსი, ბატონი სლავა ფეტელავა, იუბილარია. მას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

სლავა ფეტელავა დაიბადა 1965 წლის 14 იანვარს, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გალის რაიონის ზღვისპირა სოფელ ფიჩორში, სადაც 1981 წელს წარჩინებით დაამთავრა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა. 1989 წელს წითელ დიპლომზე დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1985-1987 წლებში მსახურობდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1989-1992 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 2005 წელს დაამთავრა პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2008 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე - „კონკურენციის თეორიის ევოლუცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში“ და მიენიჭა ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი. ამავე, 2008 წლიდან არის გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (კონკურსის წესით). მიწვეული ლექტორის რანგში (საათობრივი ანაზღაურებით), სხვადასხვა წლებში (1993-2022), ის ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ადრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტში, მცირე აკადემიაში, წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში, თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში.

ბატონი სლავა ფეტელავა, პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, სხვადასხვა წლებში მუშაობდა: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში (1993 წ.) - უმცროს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში (1993-1996 წწ.) - ნამყვანი სპეციალისტის, განყოფილების უფროსის, სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობებზე, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურში (1997-2005 წწ.) - სამსახურის უფროსის მოადგილედ, სამსახურის უფროსად და უფროსის პირველ მოადგილედ, საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოში (2005-2011 წწ.) - სპეციალისტად, სამმართველოს უფროსად, საქართველოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (2012-2014 წწ.) - ბაზრის ანალიზის სპეციალისტად და საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (2014 წლიდან - დღემდე) - პირველი კატეგორიის მრჩეველად, კონკურენციის დეპარტამენტის უფროსად, ეკონომიკური კონკურენციის დეპარტამენტის უფროსად.

სლავა ფეტელავამ თავისი საქმიანობის ძირითადი ნაწილი სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად მიუძღვნა ქვეყანაში კონკურენციის, მოხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების პოლიტიკის დანერგვისა და პრაქტიკული რეალიზაციის პროცესებს. არის 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის და პუბლიკაციის ავტორი, გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია. მათ შორის - „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში“ (2007 წ.). გამოცემული აქვს სამი ლექციების კურსი (ორი თანაავტორობით) და ერთი კრებული (ავტორთა ჯგუფთან ერთად), ერთიც სახელმძღვანელო (ავტორთა ჯგუფთან ერთად), ასევე, დამხმარე სახელმძღვანელო და პრაქტიკული სავარჯიშოების კრებული თანაავტორობით. 2010 წლიდან „საქართველოს ეკონომიკა“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ბატონი სლავა ფეტელავა ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრია 2008 წლიდან, მას მრავალი საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული ჩვენს ჟურნალში და ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობს. ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით ვულოცავთ ბატონ სლავას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კვლავაც მრავალ წარმატებას სამეცნიერო-პედაგოგიურ, საზოგადოებრივ და პირად საქმიანობაში.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით,  
ჟურნალ „The New Economist“  
(ახალი ეკონომისტის)





## აბრტექნოლოგია და ცირკულარული ეკონომიკა

2024 წელს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნდა ფრიად საინტერესო ნაშრომი „გარემოს დაბინძურების, ადღენითი ტექნოლოგიებისა და ცირკულარული ეკონომიკის ურთიერთკავშირი“, რომლის ავტორებიც არიან გ. კვესიტაძე, ს. პავლიაშვილი და ე. კვესიტაძე. ნაშრომი ეხება მრეწველობის განსხვავებული დარგების და ცირკულარული ეკონომიკის ურთიერთდაკავშირებას.

ათეული წლების განმავლობაში პროგრესულ მეცნიერთა გაფრთხილება იყო, რომ ჩვენი პლანეტა დაცული ყოფილიყო მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფისგან. სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული და სადღესოდ დედამიწა მძიმე ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დგას. დღეს, როდესაც კრიტიკულ ზღვარს მიაღწია ჩვენი პლანეტის ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გ. კვესიტაძის, ს. პავლიაშვილის და ე. კვესიტაძის ნაშრომი, რომელშიც განხილულია გარემოს დაბინძურების პრობლემები, მათი დაძლევის საშუალებები და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების გამოყენებით აგარული პროდუქციის გადამუშავების ახალი ინოვაციური გზები.

XXI საუკუნეში დედამიწაზე არნახული ეკონომიკური აღმავლობის გამო, ბუნებრივი რესურსების რაოდენობა სწრაფად მცირდება. იფიტება სასოფლო-სამეურნეო მიწების ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. დიდი ფართობების სასოფლო-სამეურნეო მიზნით ათვისებამ გამოიწვია ბუნებრივი კომპლექსების შემცირება/განადგურება. ყოველწლიურად ქრება მდელოებისა და ტყეების უზარმაზარი რაოდენობა, გაქრობის პირასაა მისული ცხოველთა და მცენარეთა მრავალი სახეობა.

ამასთან დაკავშირებით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს გარემოს დაბინძურება მილიონი ტონობით სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტოქსიკური ნივთიერებებით (დაახლოებით 800 მილიონი ტონა/წელიწადში). ეს წარმოების ნარჩენები და ტექნოლოგიური ციკლის შუალედური პროდუქტები წამლავენ გარემოს და განსაკუთრებით ნიადაგს, მინისზედა და გრუნტის წყლებს და საბოლოოდ აბინძურებენ ყველა სახის ნიადაგთან დაკავშირებულ მოსავალს.

დიდი ხნის განმავლობაში პლანეტის მოსახლე-

ობა ეწეოდა უაზრო და თვითმკვლელ ომს ბუნებასთან. სწორედ ამან გამოიწვია გარემოს დაბინძურება, ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი შემცირება, კლიმატის არასასურველი ცვლილება და არასწორი ეკონომიკური მართვით კითხვის ქვეშ დააყენა თვით ადამიანის არსებობაც.

გარემოს გლობალური ეკოლოგიური ბალანსის დარღვევა ძალზედ უარყოფითად მოქმედებს ყველა ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაბინძურება, რაც არასასურველი სპონტანური მუტაციების რაოდენობის კატასტროფული ზრდის შედეგია. ასევე, ტოქსიკური ფონის მატების გამო მატულობს დეგენერაციული ფორმების მქონე ორგანიზმების წარმოშობა, ახალი ინფექციური დაავადებების მნიშვნელოვანი მატება, უცნობი ვირუსული ეპიდემიები. პლანეტის ბიოლოგიური ბალანსის დარღვევა და მისი იმუნური სისტემის დაქვეითება იწვევს მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების რაოდენობის და მრავალფეროვნების შემცირებას. ტექნიკური ტოქსიკური ნივთიერების კოლოსალური რაოდენობა საბოლოოდ ნიადაგში ილექება, აღწევს მცენარეებში, ცხოველებში და შესაბამისად ცოცხალი ორგანიზმების საკვებ ჯაჭვში.

ტოქსიკური ნივთიერებებისგან გარემოს გასუფთავების საუკეთესო საშუალებად ზემოხსენებული ნაშრომის ავტორები სამართლიანად მიიჩნევენ ბიოლოგიურ ტექნოლოგიებს. ერთი მხრივ, ეს ეხება მაღალი რემედიაციული პოტენციალის მქონე სელექციურად შერჩეული მცენარეებისა და მიკროორგანიზმების სინერგეტიკულ გამოყენებას. აკადემიკოს გ. კვესიტაძის და მისი მონაფეების მიერ მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით შესწავლილ იქნა მცენარეთა დეტოქსიკაციური პოტენციალი. ამ მიზნით გამოკვლეულია 200-ზე მეტი ტოქსიკური ნივთიერება და დადგინდა იქნა, რომ მცენარეები ფესვთა სისტემით და ფოთლებით ტოქსიკური ნაერთების ადსორბირების შემდეგ ახდენენ მათ თანმიმდევრულ დეგრადაციას. მეორე მხრივ, სხვადასხვა ტაქსონომიური ჯგუფის ორგანიზმები (ბაქტერიები, მიცელური სოკოები, აქტინომიცეტები) ბიოორგანული რეაქტივების საშუალებით ნიადაგში მოხვედრილ ქიმიკატებს გარდაქმნიან მცენარეებისთვის მისაღებ ფორმე-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი





ბად. ყოველივე ეს დიდ დადებით გავლენას ახდენს გარემოში არსებულ ბუნებრივ ბალანსზე.

პრინციპულ ტექნოლოგიურ ნოვაციას ნარმოადგენს ამ ორი აღდგენითი ტექნოლოგიის (მიკრობული და მცენარეული) გაერთიანება და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის გადამუშავება ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებით. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს გზა ცირკულარული ეკონომიკის დაცვით არის მისაღები საქართველოსთვის როგორც, პროდუქციის გადამუშავების ძირითადი ვექტორი. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ცირკულარული ეკონომიკა მწვანე ეკონომიკის ალტერნატივაა. მწვანე ეკონომიკა ცვლის ნიაღისეული საწვავის ნეგატიურ ზემოქმედებას ეკოლოგიურად უფრო სუფთა ალტერნატივებით. მწვანე ეკონომიკის სტრატეგია მოიცავს რამდენიმე მიმართულებას: ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ტრანსპორტის გამონახობის შემცირებას, ენერჯის განახლებადი რესურსების წყაროების ძიებას, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის მკვეთრ შემცირებასა და ბიორგანული აგროტექნოლოგიების განვითარებას.

ცირკულარული ეკონომიკა მაქსიმალურად შესაძლო ვადით ახანგრძლივებს პროდუქციის სასიცოცხლო ციკლს, არსებული მასალების აღდგენით და შესაბამისი გადამუშავებით. ცირკულარული ეკონომიკა პირველ რიგში, გულისხმობს ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, ახალი პრო-

დუქციის და მასალების შესაქმნელად შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც ნარჩენების და დაბინძურების მაქსიმალურად შემცირების საშუალებას იძლევა. ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა, ბუნებრივი სისტემების რეგენერაციით, არა მარტო კეთილ გავლენას მოახდენს კლიმატსა და გარემოზე, არამედ გააძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას და ხელს შეუწყობს ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა ნარმოებისა და მოხმარების ძირფესვიან ცვლილებას მოითხოვს. მოხმარების დროს საქონელი ისე იმართება, რომ მაქსიმალურად გამოიყენებოდეს და ექსპლუატაციის ვადა გახანგრძლივდეს, რაც მას ღირებულებას დიდხანს უნარჩუნებს. ამ დროს რესურსები უფრო ეფექტიანად მოიხმარება და ხმარებიდან ამოღებული საქონელი თუ მასალა ახალ ღირებულებას იძენს.

გ. კვესიტეძის, ს. პავლიაშვილის და ე. კვესიტაძის ნაშრომში ნათლად არის ნაჩვენები მრეწველობის სხვადასხვა დარგის მონაწილეობით გარემოს დაბინძურების, ეკოპოტექნოლოგიების და ცირკულარული ეკონომიკის ურთიერთკავშირი. ეჭვს გარეშეა, რომ ავტორების ეს ინოვაციური წინადადება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში.

რამაზ გახოკიძე,  
აკადემიკოსი

## მონოგრაფია „ფული“



THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

ახლახან გამოვიდა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ინოვაციური ეროვნული საკვლევი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკის, ქალბატონ **ლამარა ქოქიაურის** მონოგრაფია „ფული“, გამომცემლობა „კალმოსანი“, გვ. 676.

**მეცნიერ-რედაქტორი:** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, **ნანა ასლამაზიშვილი**

**რედაქტორი:** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი პროფესორი **ვალერი მოსიაშვილი**.

**რეცენზიები:** ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი ცაავა**.

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი: **მაყვალა სხირტლაძე**.

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი: პროფესორი **ბადრი გეჩბაია**.

მონოგრაფია მიძღვნილია დღეისათვის ფუნდამენტური და ერთ-ერთი ყველაზე რთული და იდუმალებით მოცული სოციალურ-ეკონომიკური

კატეგორიის — ფულის არსის, მისი კატეგორიული მახასიათებლების, ფუნქციების, განვითარების ენდოთეორიკული (თეორიულ-მეთოდოლოგიურ) საკითხებისადმი; შესწავლილია ფულის ფენომენი არამარტო კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის, არამედ მისი ფუნქციონირების ისტორიული, სოციალურ-სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფის, ფილოსოფიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის და სხვა ემპირიული ინფორმაციების საფუძველზე.

ავტორმა გვერდი ვერ აუარა ფულის წარმოშობისა და ბუნების ეგზოგენურ და ენდოგენური მიზიდების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების, ფულის ევოლუციის, ფულის და მისი ფუნქციების მატერიალური ტრანსფორმაციის, ფულის მასის კომპონენტების განსაზღვრის კონცეფციების, ფულის ემისიისა და ინფლაციის, ფულის კლასიკური თეორიების განხილვას. შედეგად წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრის და სრულყოფის წინადადებების კომპლექსი.

მონოგრაფია საინტერესო იქნება მეცნიერთათვის, ფულადი ურთიერთობების მკვლევართათვის, ფულადი სისტემის და მონეტარული პროცესების მარეგულირებელი ორგანოების სფეროს სპეციალისტებისთვის, უმაღლესი სკოლების პროფესორისა და სტუდენტებისთვის.

**მაყვალა სხირტლაძე,**

აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

**ბადრი გეჩბაია,**

აკადემიური დოქტორი, პროფესორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელობის უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი,

ეროვნული ინოვაციური

საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.

# The New **საქონ** ECONOMIST ეკონომისტი

## International Precise and Review Scientific-Practical Magazine

continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 700-1000 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is - 100 GEL (Lari) or 30 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 15 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE33LB0113168905809000,, "liberty bank", central office, bank code LERTGE22.

our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge

Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

### საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა — 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის ინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო ნოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, ფელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 700-1000 სიტყვა, კრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, უცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვანოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – 100 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებით რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება — 15 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შექმნისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერტი ბანკი“, ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge

tel: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.

PS. სტატიების მონოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.





[www.neweconomist.com.ge](http://www.neweconomist.com.ge)

E-mail: [editor@neweconomist.com.ge](mailto:editor@neweconomist.com.ge)